წელიწადი პირველი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, № 4. ტელეფონები:
საერთო—დილისა 14—76. სტამბის—ღამისა—79.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე დილის 10-დან 1 ს. კორესპონდენციები და მასალები მიიღება მთელი დღე.

ოთხშაბათი, 20 აპრილი, 1921 წ.

№ 40 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 40

რკინის გზის კონვენცია

ამიერ კავკასიის რესპუბლიკები კრავენ ურთიერთ შორის კონვენციას, რომელიც აერთიანებს საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის რკინის გზებს ყველა რესპუბლიკების საერთო ორგანოში.

ამ კონვენციის თანახმათ სამივე საბჭოთა რესპუბლიკების: საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მიერ შექმნილ იქნება მათ ტერიტორიაზე მყოფ რკინის გზების გაერთიანებული მმართველობა. ცენტრი ამ გაერთიანებული მმართველობისა მოეწყობა—თფილისში, ხოლო მისი განყოფილებანი აზერბეიჯანის ქსელისთვის—ბაქოში, სომხეთისკი—ერევანში.

ასეთი კონვენციის დადებას არ შეგვიძლია არ მივესალმოთ.

მჭიდრო ურთიერთი ეკონომიური დაახლოება არის ის ერთ ერთი პირობა, რომლის დროსაც თითეულ ამიერ კავკასიის ტერიტორიაზე მყოფ სახელმწიფოს შეუძლია განამტკიცოს და გაანვითაროს თავისი სამეურნეო ცხოვრება- რამდენათაც რკინის გზა წარმოადგენს სახელმწიფო ეკონომიკის ხერხემალს, იმდენათ დამოუკიდებელი და სრულიად განცალკევებული არსებობა რკინის გზის მეურნეობისა ამიერ კავკასიის თითეულ რესპუბლიკის საზღვრებში უნდა ჩაითვალოს სრულ ეკონომიურ უაზრობათ.

ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ მიუხედავათ მრავალტომიანობისა და სუსტი სამრეწველო განვითარებისა, ამიერ კავკასია, როგორც მთელი, წარმოადგენს მჭიდროთ შეკავშირებულ ერთეულს. ამიერ-კავკასიის არც ერთ რაიონს არ შეუძლია იარსებოს ხანგრძლივათ, თუ ის განცალკევებული იქნება დანარჩენებისაგან. და მენშევიკური საქართველოს, დაშნაკურ სომხეთისა და მუსავატურ აზერბეიჯანის პოლიტიკური წარსულის პრაქტიკამ აშკარათ დაგვანახვა ეს.

საქონლის თავისუფლათ გაცვლა-გამოცვლის გარეშე წარმოუდგენელია თითეულ ამ რესპუბლიკათა არსებობა. ხოლო მათი დამოუკიდებელი და განცალკევებული რკინის გზის მეურნეობა იქნებოდა დიდათ დამაბრკოლებელი ასეთ თავისუფალ გაცვლა-გამოცვლისათვის.

ის რკინის გზის ზღუდეები, რომლებსაც ადგილი ექნებოდა რკინის გზის მმართველობათა განცალკევებული არსებობის დროს კონვენციის თითეულ მონაწილე სახელმწიფოებში, სრულიათ მოუხერხებლათ გახდიდენ საქონლის წესიერ ტრიალს. წარმოსადგენია რამდენი დაბრკოლება გადაეღობება რკინის გზის მმართველობას განცალკევებულ არსებობის გამო, მაგალითად რუსეთიდან ერევანში მომავალ პურით დატვირთულ ვაგონს. მას მოუხდებოდა სამჯერ საზღვრების გადალახვა და ამნაირათ რამდენჯერმე იქნებოდა საჭირო მისი გასინჯვა. თვით ფრიად ხელსაყრელ პირობებშიაც კი სულ მცირე ერთი კვირით შეაჩერებდა ეს გარემოება მის მოძრაობას და შეიძლება ვერც მიეღწია დანიშნულებისამებრ.

ცხადია, რომ ასეთ პირობებში საქონლის წესიერ ტრიალზე ლაპარაკიც კი გულუბრყვილობათ უნდა ჩაითვალოს; მოსაზღვრე სადგურებზე ვაგონების მუდმივი სინჯვა შეუძლებლათ გახდიდა ტრანსპორტის რამოდენიმეთ მაინც წესიერ მუშაობას.

და კონვენცია, რომელიც იკვრება დღეს, აუქმებს ყოველგვარ ფორმალურ დაბრკოლებებს რკინის გზების ნორმალურ მუშაობისათვის.

ეჭვს გარეშეა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზების მმართველობათა გაერთიანება არის პირველი ფრიად მნიშვნელოვანი ნაბიჯი, გადადგმული ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მოსაწესრიგებლათ.

ლოზუნგი „ძირს ბურჟუაზიული ზღუდეები", პრაქტიკულათ ხორციელდება ამიერ-კავკასიაში. და რკინის გზის კონვენცია არის მნიშვნელოვანი ნაბიჯი ცხოვრებაში მის გასატარებლათ.

მენშევიკების „ნამუშევარი"

მენშევიკების მეფობის უკანასკნელი დღენი საქართველოში აღინიშნა იშვიათი ბარბაროსობითა და აღმაშფოთებელი დანაშაულობით ჩვენი ხალხის მიმართ. მათ არ იკმარეს ის, რომ აუარებელი ხალხი გარეკეს სასაკლაოზე და მიჟლიტეს, თითქოს ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცავად, ნამდვილათ კი თავის კაპიტალის ბატონობის შესანარჩუნებლათ და ყველა ქვეყნის თეთრ გვარდიელების გადასარჩენათ, რომელთა სათარეშოთ შეიქნა მათი ლოცვა-კურთხევით საქართველო. რომ როგორმე გაერთულებიათ ახალი რევოლიუციონური მთავრობისათვის აღმშენებლობის საქმე, მათ დაანგრიეს რკინის გზის ხიდები უკან დახევის დროს, წაიღეს ვაგონები და ორთქლმავლები, გასჭედეს მით ბათომის მისავალი გზები. ჩვენს შემდეგ თუ გინდ წარღვნაო—ამით ხელმძღვანელობდენ ისინი. გაძარცვეს ბანკები, კავშირები, დაწესებულებები, როგორც სხვადასხვა ღირებულებით, ისე საქონლით და ამნაირი მძიმე საგზლით დატვირთულ გემზე გაიქცნენ საზღვარ-გარეთ მორიგი მუხანათობის მოსაწყობათ ჩვენი ქვეყნის წინაღმდეგ. იმ მდგომარეობის შესახებ, რომელიც მათ შექმნეს მჭერმეტყველურათ ლაპარაკობს გუშინ ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამხ. ქავთარაძის ტელეგრამა. უმრავი საქონელი, რომელიც გაიტაცა მენშევიკურმა მთავრობამ და მისმა აგენტებმა, იფლანგება და იკარგება კონსტანტინოპოლში, ქონება, რომელიც მათ მოსტაცეს ჩვენს რკინისგზელებს ბ.ბ. ათაბეგებისა, ბოკერიების აქტიური მონაწილეობით, და გაზიდეს უცხო სახელმწიფოს ბაირაღის ქვეშ, დღეს ხელთ ჩავარდნიათ ამ უცხოელებს თავის ვალების ასანაზღაურებლათ. მიაყენეს რა ასეთი დამღუპველი ზარალი რკინის-გზელებს და ესეც მაშინ, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა და, განსაკუთრებით, მისი მშრომელი მასები განიცდიან უკიდურეს საჭიროებას ყოველ-გვარ საქონლისას, დღეს ეს გატაცების და გაქურდვის გმირები ჰბედავენ მოწოდებით მიმართონ ამის შესახებ სწორეთ ამ რკინის-გზელებს და მით, რასაკვირველია, თვით სვამენ თავის თავს ბრალდებულის სკამზე.

ამით არ თავდება ის უბედურობა, რომელიც მათ თავს დაატეხეს ხალხს. მიუხედავათ იმ „უარისა„ რომელიც მიიღო გაქცეულმა მთავრობამ, როდესაც ის საზღვარ-გარეთისკენ ეპატიჟებოდა თავის ერთგულებს, მან მაინც მოახერხა შეცდომაში შეეყვანა ათასხუთასამდე კაცი, რომლებიც დღეს უპატრონოთ არიან დაყრილი კონსტანტინოპოლში და განიცდიან ყოველ ნაბიჯზე შეურაცყოფას და გაჭირვებას. მათ შორის ისმის ტირილი და დრტვინვა. ყველას თვალი საქართველოსკენ აქვთ და სცდილობენ შინ დაბრუნებას. მათი წერილების თანახმათ, ისინი არჩევენ „დახვრეტილიყვნენ საქართველოში", ვინემ დარჩნენ უპატრონოთ დაყრილნი უცხოეთში. კიდევ და კიდევ მეორდება დენიკინელების და ვრანგელის თეთრგვარდიელების ისტორია, რომლებიც მსხვერპლი შეიქნენ შიმშილისა და შავი სიკვდილის. ერთნაირი ბედი ეწვია, როგორც მათ, ისე მენშევიკური მთავრობის მხლებელთ.

ქვეყნის სიმდიდრის განადგურება და გაფლანგვა, გამყოლების ტირილი, დრტვინვა და ამოჟლეტა—ასეთია უკანასკნელი გვირგვინი, რომლითაც შეიმკო ყოფილი მენშევიკური მთავრობა. ეს გმირები დაძრწიან დღეს საზღვარ-გარეთ ახალი ჯალათობის მოსამზადებლათ ქართველი ხალხის წინაღმდეგ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მიიღებენ საკადრის პასუხს ჩვენი ხალხისაგან იმ მუხანათობისთვის, რომლის სამზადისში ჩაბმული არიან ისინი დღეს.

საბჭოთა რუსეთის პრესა

მუშათა სოლიდარობის უნარი

ამ რამოდენიმე თვის წინეთ ერთმა ამერიკის სოციალისტურმა გაზეთმა დასტამბა, რუსეთიდან ჩამოსულ, ამერიკელ ჟურნალისტის ინტერვიუ ჩემთან.

სხვათაშორის იქ მოყვანილი იყო უამრავი ციფრები მწარე სინამდვილისა, რომელიც მოწმობენ ჩვენი სკოლების ნივთეულობის სიღატაკეზე.

გაზეთი სწერდა, ამერიკულ ბავშვთა საყურადღებოდ (ნიუიორკში), რომ რუს ბავშვებს, რომელსაც სწავლა სწყურიათ, სამისოდ უბრალო ფანქარიც კი არ მოეპოვებათო. ამის შემდეგ დაწყებულა ნამდვილი მოძრაობა ბავშთა შორის. ასობით ბავშვები დადიოდნენ თურმე რედაქციებში და მოჰქონდათ ფანქრები ასე რომ დაგროვდა მთელი ტომრები ფანქრებით სავსე. ჩვენმა ამხ. ოგურსკიმ ამ ფაქტიდან სწორე დასკვნა გააკეთა, რომ ამნაირი სიმპატიის ამოძრავება იმ ხალხისადმი რომელსაც სწყურიან და ილტვის განათლებისაკენ და ასეთი საპროტესტო აქტი ბურჟუაზიულ მთავრობის პოლიტიკის ბლოკადა და დაგმობის წინაღმდეგ, შესაძლოა და აუცილებელიცაა, რომ მოეწყოს.

თანახმად მისი მოწოდებისა ნიუიორკის სამ დიდმა სოციალისტურ გაზეთმა სახელდობრ ამ მოტივით—დახმარება რუსის ბავშვებს და პროტესტი ბლოკადის წინაღმდეგ—მოუწოდა თავის მკითხველებს სასწავლო ნივთების შესაწირად.

ამას შედეგად მოჰყვა ის სერიოზული და უშუალო მნიშვნელობითი და უაღრესად საგულისხმო, აქტი სოლიდარობის და პროტესტისა, როგორც ამერიკელ მუშათა საჩუქარი, რომელიც უკვე რეველისკენ გამოიგზავნა.

გაზეთი „New Jorker Volkszeitung" მწერს მე (გერმანულ ენაზე):

„საბჭოთა რუსეთის სახალხო კომისარს! ძვირფასო ამხანაგო! ჩვენ დიდ სიამოვნებისა ვგრძნობთ გაცნობოთ რომ ჩვენი გაზეთის მკითხველები, თქვენ ამხ. ოგურსკის მოწოდების შემდეგ, შეეწიენ ფულით ერთ მილიონ ფოლადის კალმისწვერის შესაძენად საბჭოთა რუსეთის სკოლის მოწაფეებისათვის. თუმცა მოგროვება სწარმოებს მხოლოდ სამი თვის განმავლობაში, და რამდენიმე ნაწილი დროისა მოხმარდა წინასწარ მუშაობას, მიუხედავად ამისა ჩვენ უკვე შევიძინეთ 2 ათასი გროსი პირველ ხარისხის კალმისწვერისა, რომელიც მარტის დასაწყისს გამოიგზავნება გემით რეველში.

შესაძლებელია ამავე გემით ჩვენ მოვახერხებთ გამოგზავნას კიდევ 2 ათას გროსი, რადგანაც ამისათვის საჭირო თანხა უკვე იმყოფება ჩვენს განკარგულებაში. საზოგადოდ გაზეთი მოახერხებს 2 მილიონ კალმის წვერის შეძენას თავის რუს ამხანაგთ, შვილებისათვის.

კომუნისტური მოძრაობა შეერთებულ შტატებში, როგორც თქვენ უწყით ალბად, ჯერ კიდევ სუსტია; ასე წარმოიდგინეთ, ჩვენ მკითხველებ შორისაც კი მოიძებნებიან ისეთი ხალხი, რომელიც გულგრილად და თითქმის მტრულადაც არიან განწყობილი ამ მოძრაობის მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყველა ჩვენმა მკითხველმა განურჩევლად, საგანგებო აღფრთოვანებით თანხმობა განაცხადა დაეხმაროს რუსეთს, რომ მის მამაც, თავგანწირულ და სახელოვან მოწინავე მებრძოლთ და პიონერებს უჩვენოს სოციალიზმის პრაქტიკული სოლიდარობა.

ეს ფაქტი კი ჩვენ საერთო ღრუბლიან პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთ მცირედთაგან სასიამოვნო ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

დავშთები გულითად სურვილებით აღსავსე და სალამის მოძღვნით რედაქტორი გაზეთისა ლიუდვიგ ლორე".

გაზეთი „Jewish Daily Vorward", ებრაელ სოციალისტთა ორგანო, რომელიც ინგლისურ ენაზე გამოდის მწერს (რუსულ ენაზე):

ამხანაგო! ჩვენ ამ დღეებში გიგზავნით 50 ყუთით, ორ ნახევარ მილიონამდე ფანქარს, საბჭოთა რუსეთის საჭიროებისათვის. ნაწილი ამ ფანქრების მივიღეთ ჩვენი მკითხველებისაგან, ნაწილი კი ვიყიდეთ იმ ფულით, რომელიც შემოგვიდა შემოწირულების სახით ჩვენი მკითხველებისგანვე, ამავე მიზნით 10,000 მკითხველზე მეტი გამოეხმაურა ჩვენს მოწოდებას და ამ რიცხვში უმრავლესობას შეადგენენ მუშები, მათი ცოლები და შვილები. შესაძლებელია, რომ ჩვენ მოკლე ხანში კიდევ მოგაწვდით.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს ფანქრები რუსეთის ბავშვთა მიერ გამოყენებულ იქნება იმისთვის, რომ შეისწავლონ მედგარი და თავდადებული ბრძოლა, მუშათა რუსეთის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის.

ამხანაგურ სალამით კორნი ვლაფიოკი.

დაბოლოს ინგლისის სოციალისტური გაზეთი „The New Jork Call" მატყობინებს მე, რომ მის მკითხველებმა შეაგროვეს თანხა 100 ათას რვეულის სასყიდათ, რომელიც იმავე გემით უკვე გამოიგზავნა და გვპირდება შემოწირულებათა გაგრძელებას.

ამხ. ოგურსკი მატყობინებს მე უფრო სანუგეშო ფაქტებს. ის იწერება, რომ როგორც კი ნიუიორკის სოციალისტურ გაზეთებმა მოათავსეს შემოწირულებათა ანგარიშები, მაშინათვე მოძრაობა გავრცელდა მთელ ამერიკაში, და ამ ჟამად არ მოიძებნება არც ერთი დიდი ქალაქი ამერიკაში, სადაც სოციალისტური გაზეთები არ აწარმოებდნენ შემოწირულებათა შეგროვებას საბჭოთა რუსეთის სკოლების მოწყობილობისათვის, ასე რომ იმედი უნდა ვიქონიოთ ნივთების და საგნების შემდეგ მოწვდაზედაც.

ებრაელთა სოციალისტურ კავშირმა „Arbeiterrlu", თავის მხრივ შეიძინა ბავშთა საავათმყოფოს 200 საწოლის მთელი მოწყობილობა, რომელიც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენს, და რომელიც გვგზავნებათ საგანგებო დელეგაციით, რომელიც ამხ. ოგურსკის სიტყვით, ჩამოვა რუსეთში ერთი თვის შემდეგ.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლიან სიხარული არ გამოვსთქვათ ამნაირ ძვირფას საჩუქრის მიღებაზე ჩვენ უკიდურეს გაჭირვების დროს, მაგრამ ჩვენ უფრო ძლიერ გვახარებს ეს, როგორც მუშათა სოლიდარობის აქტი.

სახალხო განათლების განყოფილება თავის მხრივ გაუგზავნის რადიოთი გულითად მადლობას ამერიკის მუშებს, რომლებმაც მიიღეს მხურვალე მონაწილეობა ამ სიმპატიურ საქმეში.

ა. ლუნაჩარსკი.

(„პრავდა").

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

კამათი პოლიტიკურ განათლებაზე მოხსენების შესახებ

კრუპსკაია—ამხანაგებო, სკოლის გარეშე მუშაობას საბჭოთა რუსეთში იმ თავიდანვე პოლიტიკური ხასიათი ჰქონდა მიცემული. ყოველ შემთხვევაში სახ. გან. კომისარიატი სცდილობდა მიეცა მისთვის ეს ხასიათი, მაგრამ მხოლოდ ამ ზაფხულს გვქონდა პირველი შემთხვევა შევხებოდით ამ ნიადაგს, მაშინ, როდესაც ჩვენ შევუკავშირეთ ჩვენი მუშაობა ეკონომიურ კომიტეტთა მუშაობას, შევუკავშირეთ დღიურ ჭირ-ვარამს, როდესაც მთელი ჩვენი სკოლის გარეშე განათლების აპარატი ჩავაყენეთ პარტიის სამსახურში, და მხოლოდ მაშინ ადგილობრივ ამხანაგებმა იგრძნეს, რომ სკოლის გარეშე მუშაობა ღირსია პარტიის ყურადღებისა. ამ შემოდგომისთვის უკვე მივიღეთ წინადადებანი ადგილებიდან. მთელმა რიგ ქალაქებმა (ქვემო ნოვგოროდი და ზოგიერთი სხვა) უკვე წარმოგვიდგინა პროექტი იმისა, თუ როგორ უნდა შევაკავშიროთ მთელი სამუშაო და ყველა ეს როგორ შევუფარდოთ ერთ მთლიან გეგმას. ეს მთლიანი გეგმა იმ ახალ ხილად მოგვევლინა, რომელიც შეტანილ იქმნა სკოლის გარეშე მუშაობაში და აქვე ერთბაშათ ცხადად გამოჩნდა, რომ ეს მთლიანი გეგმა მჭიდროდ დაკავშირებულია პარტიასთან და მოითხოვს მთელი ძალღონის მოკრეფას. პოლონეთის ფრონტს, სასურსათო კომპანიას, სახალხო განათლების კომისარიატის აგიტაცია თან მისდევდა და ადგილობრივ ამ ცდამ გამოარკვია, რომ გზა სწორედ არის აღებული. თუ ჩვენ ხელს უწყობთ სასურსათო პოლიტიკის გატარებას, საჭიროა, რომ მთელმა მასსამ ჩვენი პროპაგანდის ქვეშ გაიაროს, რომ ერთი საერთო მიზანი ამოიღონ და სცემონ ამ მიზანში ახალგაზრდათა კავშირმაც, რესპუბლიკის პოლიტიკურ მდგომარეობამაც, სახალხო განათლების კომისარიატმაც, სკოლის გარეშე განყოფილებამაც. მუშაობის პარალელიზმი, რომელმაც უკანასკნელ ხანს დაავადებულათ თავი იჩინა ადგილობრივ, უფრო სასტიკად იბრუნა პირი და ამიტომ ჯერ ისევ სექტემბერში დაისვა საკითხი მთელ პოლიტიკურ განმანათლებელ მუშაობის შეკავშირებისა ერთ მთავარ საპოლიტ. სახ. განათლებ. კომიტეტში. ამ წინადადებას, შეკავშირების შესახებ, გვიკარნახებდენ დაბლიდან: ადგილებიდან ჩამოსულ ამხანაგებმა წამოაყენეს ეს საკითხი და სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის სესსიაზე მიღებულ იქმნა დადგენილება—შეგვექნა ერთი მთლიანი ორგანო მთავარი საპოლიტიკო სახალხო განათლების კომიტეტი. შემდეგ ეს დადგენილება გატარებულ იქმნა სახალხო მეურნეობის საბჭოში და ცენტრალურ კომიტეტმაც, რომელიც ყოველ გზით მხარს უჭერდა ამას, მისცა მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტს მუშაკნი. მთ. პ. სახ. გან. კომიტეტებს ადგილობრივ შეეძლოთ გადაეშალათ ნაყოფიერი მოქმედება, მხოლოდ პარტიის დიდი შემწეობით, და მართლა იქ, სადაც პარტიამ შეიგნო ამ მუშაობის საჭიროება, სადაც ეს მუშაობა შეკავშირდა და გაიშალა—იქ სრულიად სხვა ტემპით წავიდა საქმე.

და აი, ამხანაგებო, მთელი ეს ზამთარი მოვახმარეთ ორგანიზაციულ მუშაობას, ორგანიზაციულ მუშაობას ადგილებზე და ცენტრში დაარსებულ იქმნა კომიტეტი მთავარ საპ. სახალხო განათლებისა, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო ცენტრალურ კომიტეტის წევრს და ამხ. პრეობრაჟენსკიც მთელი ზამთარი იღებდა მონაწილეობას მთავარ საპ. სახ. განათლ. კომიტეტის ორგანიზაციულ მუშაობაში. მთავარი საპ. სახ. გან. კომიტეტის მუშაობა ამ ზამთარს, უმთავრესად, ორგანიზაციული ხასიათისა იყო. ადგილობრივ ამხანაგებმა იციან, რომ ზოგჯერ ეს მუშაობა სწარმოებდა მეტად მძიმე, შემაფერხებელ პირობებში. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ, მართალია, ყველანი პარტიულ ადამიანებად ვითვლებით, მაგრამ, [illegible] არა ვართ უზრუნველყოფილნი უწყებრივ მიკერძოებისაგან, და ამიტომაც ჩვენ გვგონია, რესპუბლიკის პოლიტიკურ გამგეობას რომ გადავსცეთ ნაწილი სამუშაოსი, მაშინ მთელი საქმე დაგვეღუპება. ესე შეიძლება ვსთქვათ პროფ. კავშირებზე, რომ მხოლოდ მათ შეუძლიანთ აწარმოონ მუშაობა წესიერად. მაგრამ ჩვენი უმთავრესი მიზანია მთელ მუშაობის ჩაყენება ერთ მთლიან კალაპოტში. და აი ეს ორგანიზაციული მუშაობა, თუმცა დიდი დაბრკოლებით, მაგრამ მაინც, უკვე ცოტათი თუ ბევრად მთავრდება და უკვე ისახება ერთნაირი ფორმა, რომელიც დაკავშირებულია არამც თუ ახალგაზრდათა კავშირთან და პროფ. კავშირებთან, არამედ პროლეტარულ კულტურულ განყოფილებასთანაც და ჩვენ სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ მალე ეს მუშაობა ერთ მთლიან მუშაობის სახეს მიიღებს. მაგრამ პარტიას არ შეუძლიან არ უყუროს მთავარ საპ. სახ. განათლების კომიტეტის ორგანოებს როგორც თავის ორგანოებს. ეს წინეთ იყო, როცა ბურჟუაზია თვალთმაქცობდა და ამბობდა, რომ იგი უპარტიო განათლებას აწარმოებს. პროლეტარიატს ეს თვალთმაქცობა არა სჭირია, მას შეუძლიან საჯაროთ სთქვას, რომ მისი ორგანოები განათლებისა უნდა გარდიქმნენ კომუნისტურ ორგანოებად. პოლიტიკურ განათლების განყოფილების მუშაობით ჩვენ შეგვიძლიან აღმოუჩინოთ დიდი დახმარება. ჩვენს მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტში შემოდგომის დამდეგს ამხ. კომუნისტები დიდ პროცენტს შეადგენდენ, მაგრამ შემდეგ კი ეს შემადგენლობა დაიშალა, მაგრამ ჩვენ მაინც ვცდილობთ, მთელი მუშაობა პარტიის დირექტივების მიხედვით ვაწარმოოთ. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ნაირად ჩვენ მოვახერხებთ აღმოუჩინოთ პარტიას ის დახმარება, რომელიც მას ასე ესაჭიროება. პარტიას თავის საკუთარი საგანმანათლებლო აპარატი არა აქვს და ხშირად ვხედავთ ხოლმე, როგორ აარსებენ საგუბერნიო კომიტეტები თავის წიგნთსაცავებს. ამას ალევენ აუარებელ ძალას, რადგანაც ამისათვის სათანადო აპარატი არ არსებობს. უნდა იყოს ერთი მთლიანი აპარატი, რომელიც მიმართულებას მისცეს ამ მუშაობას, რომ საგუბერნიო კომიტეტებმა არ შეალიონ თავისი ძალღონე წიგნთსაცავების და კლუბების ქსელის ორგანიზაციას და ნაწილი ამ მუშაობისა შეიძლება მიენდოს მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტს. მე, როგორც სხვა დანარჩენი წევრები მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტებისა, ვსდგევართ ამხ. პრეობრაჟენ-

დღეს ნომერში:

საქ. რევკომის დეკრეტი სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისგან სკოლის გამოყოფის შესახებ.

სტამბოლში გარდაიცვალა ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ყოფ. თავმჯდომარე გენერალი გიორგი ყაზბეგი.

მოსკოვის საბჭოს არჩევნების პირველ ორ დღეს არჩეულია 389 კომუნისტი და 44 უპარტიო.

სკის თვალსაზრისზე. ჩვენ მ ვისმინეთ ეს თეზისები და მთავარ საპ. სახ. გან კომიტეტის ყველა წევრები ამათ სრულიად დავეთანხმეთ, ვინაიდან მთავარი საპ. სახ. გან. კომიტეტი მოსამზადებელ საფეხურიდანაც ითვლება უპარტიო მასსათა შორის, ამიტომ მას იძულებულნი ვართ მივაქციოთ რაც შეიძლება მეტი ყურადღება. ამნაირადვე შეგვიძლიან ვსთქვათ პროფ. კავშირებზე. მათთან ადგილებზე დიდი უთანხმოებანი გვიხდება. ისინი არ იძლევიან თავის პასუხისმგებელ მუშაკთ განმანათლებელ სექციებში, რომელნიც შედიან მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტში. ისინი სთვლიან, რომ ეს მუშაობა უნდა აწარმოონ მათ უშუალოდ და დამოუკიდებლად. ნამდვილად კი პროფ. კავშირებსა და პარტიას ერთი და იგივე მიზნები ამოძრავებს და ამიტომ საჭიროა მთელი მათი მუშაობა ერთ საერთო ხაზით სწარმოებდეს და ამას კი პროფესიონალური კავშირები ვერ განახორციელებენ, თუ საერთო მუშაობას გამოაკლდებიან და მოისურვებენ განცალკევებულ და დამოუკიდებელ მუშაობას. როგორც ჩვენ არ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ პროფეს. კავშირთა დამოუკიდებლობაზე, ისევე ჩვენ არ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ მუშაობის დამოუკიდებელ წარმოებაზე პროფ. კავშირებში. პროფ. კავშირთა მუშაობა სწარმოებს პროლეტარიატ შორის და ამიტომ საჭიროა პირველად ეს კავშირები შეუერთოთ მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტს. რას ვხედავთ ჩვენ ამ ჟამად? ჩვენ ვხედავთ, რომ განმანათლებელი განყოფილებანი სცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი დამოუკიდებლობა, მაშინ, როდესაც ნამდვილად მათ სათავეში ხშირად უდგანან მენშევიკები და საერთოდ ისეთი ხალხი, რომელნიც ჩვენი პარტიისათვის უცხონი არიან და ის პოლიტიკური განმანათლებელი მუშაობა, რომელიც საზღვრავს პარტიულ მუშაობას, რომელმაც დახმარება უნდა აღმოუჩინოს ამ მუშაობას, ხშირად უცხო ელემენტების ხელში იმყოფება. ამიტომ მე ისე მაქვს წარმოდგენილი, რომ პარტიულმა ამხანაგებმა პროფესიონალურ კავშირებში უნდა აწარმოონ ისეთი გეზი, რომლის საშუალებითაც პროფ. კავშირები მისცემენ თავის წარმომადგენლებს განმანათლებელ სექციებში და ეს მუშაობა მათ უნდა აწარმოონ მთავარ საპ. სახ. გ. ნ. კომიტეტთან ერთად ხელი ხელ ჩართული. იგივე შეიძლება ითქვას ახალგაზრდა კავშირებზედაც. ბევრს ჰგონია, რომ ისინი უნდა დამოუკიდებელნი იყვნენ და უშუალოდ აწარმოონ თავისი მუშაობა. ამხანაგები გვეუბნებიან, რომ თქვენ ვერ მოგიხერხებიათ დაუმორჩილოთ პარტიის პოლიტიკური განყოფილება და მაშასადამე, როგორ გსურთ მოახერხოთ ახალგაზრდათა კავშირის დამორჩილება პარტიისადმი. აქ ლაპარაკია დამორჩილებაზე კი არა, არამედ მიზანშეწონილებაზე, რომ ძალების კოორდინაცია მოხდეს, ვინაიდან დამოუკიდებლად ახალგაზრდათა კავშირი ვერ გაუძლვება მუშაობას, იმიტომ რომ პროლეტარულ ახალგაზრდათა და გლეხთა ახალგაზრდათა რიგები ძლიერ ფართეა და თვით ახალგაზრდობა ამ მუშაობას ვერ გაუძლვება, ასე რომ აქ სდგას საკითხი მიზანშეწონილებაზე, ძალთა შეკავშირებაზე ახალგაზრდათა კავშირთან. რაც შეეხება სამხედრო ორგანიზაციებს, ეს საკითხი დღემდის საბოლოოდ არ გადაწყვეტილა. რესპუბლიკის პოლიტიკურ განათლების და მის ორგანოების ორგანიზაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია და ეს გარემოება კი საქმეს ძალიან აფერხებს. სამხედრო ორგანიზაციის ამხანაგებს ძალიან ეშინიანთ, რომ მათი მუშაობა სრულიად არ გაქარწყლდეს. ყველა ორგანიზაციები უკვე მოელიან, რომ მათ შეაერთებენ პოლიტიკურ განათლების განყოფილებასთან, და ამიტომ ბევრი მუშაკი სხვადასხვა მიზეზის მოდებით, გადადიან სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში, რის გამოც ორგანიზაციები ძლიერ სუსტდებიან და ბოლოს ისე დასუსტდებიან, რომ ველარ მოახერხებენ მთავარ საპ. სახ. გან. კომიტეტს გადასცენ თავიანთი მთავარი ძალები. ამიტომ საჭიროა, რაც შეიძლება, მალე გატარდეს ეს შეკავშირება, მით უმეტეს, რომ სამშვიდობო მდგომარეობაზე გადასვლის შემდეგ სამხედრო ორგანიზაციებმაც იმნაირ ხაზით უნდა აწარმოოს თავისი მუშაობა, როგორც მთავარ საპ. სახ. განათლების კომიტეტმა. საჭიროა ამ მუშაობის შედარებით მაღალ საფეხურზე დაყენება, რომ მისი შედეგები ნაყოფიერი იყოს. პარტიის მხრივ კი ჩვენ გთხოვთ დახმარებას და რაც შეიძლება ძველი პარტიული მუშაკების, რაც შეიძლება მეტი რიცხვის მოშველებას პოლიტიკურ განმანათლებელ განყოფილებაში, რომ შესაძლებელი გახდეს ამ მუშაობის ღირსეულ საფეხურზე დაყენება.

საბჭოთა საქართველოში.

ესტონეთის საკონსულო.

თბილისში არსებულმა ესტონეთის საკონსულომ თავის მთავრობის შეკითხვაზე გაგზავნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა მმართველობა ესტონეთის საკონსულოს ეპყრობა დიდის ყურადღებით, და რომ საზოგადოდ საბჭოთა ხელისუფლება უცხო ქვეშევრდომთა მოქალაქეთათვის მეტად კეთილ მოსურნეა. ახლა ესტონეთის საკონსულო აწყსრიგებს საბჭოთა საქართველოსთან საქონლის გაცვლა-გამოცვლის საკითხს. ესტონეთის საკონსულოს ცნობაში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ ესტონეთის საკონსულოსთან დაარსებული იქნება ესტონეთ-საქართველოს სავაჭრო პალატა, რომლის მიზანია მჭიდრო კომერციული კავშირის დამყარება საბჭოთა საქართველოსა და ესტონეთს შორის.

მაისის ბოლოში საკონსულო ელის ბათომში ესტონიის პირველი გემით წუმწუმას, ქაღალდს და სხვა.

საქონელი საზღვარ-გარეთიდან საქართველოსთვის.

დღეს კონსტანტინოპოლიდან მოვიდა 2 გემი, ოსმალური „ენ-დუნია" (ახალი ქვეყანა) და იტალიელი—„ჯორჯია" (საქართველო) რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს მეორეთ მოდის საბჭოთა ბათომში. ოსმალურმა გემმა მოიტანა ხუთი ათასი ფუთი ფქვილი, იტალიელმა—მანუფაქტურა და სხვა საქონელი. ამ უკანასკნელ გემით მოვიდა ჯგუფი ფრანგი კაპიტალისტებისა, რომელთაც განზრახვა აქვთ სავაჭრო ურთიერთობა მოაწყოს რესპუბლიკის მთავრობასთან. ახლო ხანში მოელიან ტრიესტის ლოიდის დიდ სამგზავრო გემის მოსვლას და რამდენსამე სხვას.

ბათომში

ბათომი 15 აპრილი (დეპეშა). იტალიის გემმა „ალდო"-მ საგარეო ვაჭრობის განყ. მიიღო ნავთის გატანის ნებართვა. ალდო ხვალ წავა სტამბოლში.

—ანატოლიიდან, სოხუმიდან და ნოვოროსისკიდან მოვიდა მთელი რიგი იალქნიან გემებისა.

გადაწყვეტილია სასწრაფოდ შეუდგნენ ბათომის ნავთსადგურში ელინგის მოწყობას.

განათლების განყოფილება შეუდგა ბათომში სახალხო უნივერსიტეტის მოწყობას. ბათომის შავი და აზოვის ზღვის საზღვაო მუშა და გლეხთა ინსპექციამ დაიწყო მოქმედება.

სააგიტაციო და საპროპაგანდო კვირის თვალსაჩინოდ ჩასატარებლად გადადებულია 5.000,000 მან. სააგიტაციო კვირაში მონაწილეობის მისაღებად და გასატარებლად გადაწყვეტილია პარტიული ამხანაგების მობილიზაცია. ბათომის ყველა თეატრების აღრიცხვა და სხვა. სახალხო სამეურნეო საბჭომ აწერა ტყავეულობის ყველა საქონელი. სტატისტიკური განყოფილება შეუდგა საწარმოო დაწესებულებათა აღწერას ბათომის მიდამოებში.

ჩაის პლანტაციების გაზაფხულის პირი იმედს იძლევა კარგი მოსავლისას.

სალამი რევკომს.

სოფელ აშაგა სერალში (ბორჩ. მაზრა) მოქალაქეებმა მიტინგზე მოისმინეს რა მოხსენება შესახებ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებისა. მიწის მუშათა და ღვინის მწარმოებელთადმი, მიიღეს რეზოლიუცია საქართველოს რევკომისადმი მისალმებისა. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ სოფელ აშაგა-სერალის მცხოვრებნი მიიღებენ ყოველივე ღონისძიებას ყველა მინდვრების დასახნავათ და დასათესად და აგრეთვე ბაღების დასამუშავებლად.

საბჭოთა რუსეთში.

მოსკოვის საბჭოს არჩევნები.

მოსკოვი. 18 აპრ. (რადიო). არჩევნების პირველ ორ დღეს მოსკოვის ყველა რაიონებში არჩეულია 389 კომუნისტი და 44 უპარტიო.

სრ. რუს. ცენტრ. აღმასრულებელ კომიტეტის მესამე სესია.

მოსკოვი, 17 აპრ. (რადიო). სრ. რუს. ცენტრ. აღმ. კომიტეტის მესამე სესია შეიკრიბება 16 მაისს. სრ. რუს. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის ყველა ფაგის ადგილებზე და მოსკოვში მყოფი წევრები მოწვეულნი არიან დანიშნულ დროისთვის კრემლში. სესიის დღის დღიური წესრიგი: 1) პრეზიდიუმში მოხსენებათავის მუშაობის შესახებ. 2) მოხსენება კომიტეტის შემადგენლობის გადასინჯვის შესახებ. 3) შრომის სახალხო კომისარის მოხსენება. 4) მოხსენება ტვერის გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტისა. 5) ადგილობრივ ტრანსპორტის დეკრეტის პროექტი.

მარუფში გაგლეჯილია.

მოსკოვი. 15 აპრ. (რადიო). იმ ზომათა შორის, რომლებიც ჩვენმა რესპუბლიკამ მიიღო მეურნეობის აღდგენისათვის, საგარეო ვაჭრობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ჟამად მოლაპარაკების სფეროში უკვე პრაქტიკულ ნიადაგზე სდგებიან, ინგლისის მიმართ მაინც. გუშინ გამოქვეყნებული სახალხო კომ. საბჭოს დადგენილება ნავთსადგურების გახსნის შესახებ, მრავლათ შეიცავს იმისთანა პრაქტიკულ ზომებს, რომლებიც შეადგენენ ინგლისთან საგარეო ვაჭრობის წარმატების პირობებს—სახელდობრ: ჩვენ ნავთსადგურების წესიერად მოწყობა და იქ ყოველივე საფრთხის მოსპობა, ინგლისელ სავაჭრო აგენტებისათვის პირადი უპირატესობის უზრუნველყოფა, ინგლისურ წარმოების საქონელზე რეკვიზიციის აკრძალვა და სხ. გასაოცარია ის, რომ ინგლისთან შეთანხმებამ ასე უეცრათ ააფორიაქა ჩვენი მტრები.

უპარტიო გლეხები ლენინთან.

უფა. 14 აპრ. (რადიო). დაბრუნდნენ უფის გუბერნიის სოფელ ბეკეტოვის გლეხები შაპოშნიკოვი და კაპლაკოვები. ისინი მოსკოვში იყვნენ ლენინის დაბარებით, რომლებთანაც დიდხანს ისაუბრეს და მიიღეს მონაწილეობა სრულიად რუსეთის ცენტრალურ კომიტეტის სხდომაზე, როდესაც მიიღეს სასურსათო გადასახადების კანონი. მათი სიტყვით ისინი მოსკოვში დიდის პატივით მიიღეს. (დამახინჯებულია) თავის მოგზაურობის შესახებ შაპოშნიკოვმა და კაპლაკოვებმა მოხსენება წაიკითხეს საგუბერნიო უპარტიო გლეხთა კონფერენციაზედ, რომელიც დიდის ყურადღებ[illegible]ნა მოსმენილი.

საქონელი სპარსეთიდან.

მოსკოვი. 18 აპრ. (რადიო): 1 მარტამდე სპარსეთიდან ჩამოვიდა: ბრინჯი: 300 ათას ფუთამდე, ქიშმიში—20,000 ფუთი; ამ ჟამად სპარსეთში იტვირთება გემი საბჭოთა რუსეთისთვის 30000 ფუთი ბრინჯით.

უცხოეთიდან საქონლის შემოტანა მარტში.

მოსკოვი. 15 აპრ. (რადიო). 1921 წ. მარტის თვეში საზღვარგარეთიდან შემოტანილია 325,000 ფ. საქონელი, ხოლო ამ წლის დასაწყისიდან სულ 3 მილიონი ფუთი. გარდა ამისა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკიდან მოვიდა 203 ვაგონი საქონელი. საქონელს შორის არის 90 ვაგონი მიწათ-მოქმედების იარაღი.

ევროპასთან საქონლის გაცვლის გაფართოვება.

მოსკოვი. 17 აპრილი (რადიო). ინგლისიდან როვოსიისკში ჩამოვიდა ორი გემი, რომლებმაც საბჭოთა რუსეთისთვის ჩამოიტანეს სამეურნეო მანქანები, მედიკამენტები, ძაფები, ელექტრონის ლამპები, ტყავი, სახარინი და მეაბრეშუმეობისთვის საჭირო საგნები. დადებულია ხელშეკრულება საფრანგეთის ფირმასთან, რომელმაც უკვე მისცა საქონელი.

სურსათი მუშებს.

მოსკოვი. 15 აპრილი (რადიო) ინგლისში ნაყიდია 100,00 ბოჭკა შოტლანდიის თევზი. პირველი გემი, რომელსაც მოაქვს 15,000 ბოჭკა, აპრილის 10-ს გამოვიდა. მაისის ბოლოს დასრულდება გემების თევზით დატვირთვა. აპრილის 5-ს ინგლისში შესყიდულია 30,000 ფუთი ხორცის კონსერვები.

ორთქმავლების შეკეთება.

მოსკოვი 18 აპრილი (რადიო). მარტში საბჭოთა რუსეთის რკინის გზებზე შეაკეთეს 718 ორთქმავალი, ამას გარდა შეაკეთეს სასურსათო მარშუტებისათვის აღმადგენელ შეკეთებით 64 ორთქმავალი. ამ გვარათ სულ შეაკეთეს 782 ორთქლმავალი ანუ დასახულ მიზნის 90%. შეკეთება მარტში უფრო ნაყოფიერად სწარმოებდა, ვიდრე თებერვალში, როდესაც შეაკეთეს მხოლოდ 691 ორთქმავალი. ყველაზედ უკეთესად მუშაობდა მოსკოვ-კურსკის გზა, რომელმაც დასახულ მიზნებს გადააჭარბა 34%-ით.

ვაგონების შეკეთება.

მოსკოვი. 16 აპრილი. (რადიო). მარტში საბჭოთა რუსეთის რკინის გზებზე-შეაკეთეს 9096 ვაგონი. შეკეთების დასახულ მიზანს გადააჭარბეს 9 პროც. ვაგონების შეკეთება სწარმოებდა გაცილებით უკეთ, ვიდრე თებერვალში; მარტში შესრულეს დასახულ მიზნის 109 პროც., თებერვალში კი 97 პროც.

საზღვარ-გარეთ

რევოლიუციონური მოძრაობა ინგლისში.

ნაუენი. 16 აპრილი (რადიო). რეიტერის სააგენტოს არავითარი იმედი არა აქვს საყოველთაო გაფიცვის თავიდან აცილებისა. სხვანი საქმეს უფრო იმედიანად უყურებენ.

ნაუენი. 16 აპრილი (რადიო) რკინის გზელთა კომერციულ დაწესებულების მსახურთა წინადადებით ინგლისის საყოველთაო გაფიცვის ვადა გადაიდო. ხელ-ახალი მოლაპარაკება დაიწყო.

მდგომარეობა ინგლისში

მოსკოვი. 17 აპრილი (რადიო) საკოოპერაციო ბანკის გამგეობამ დაადგინა: თუ საერთო გაფიცვა მოხდა, ადგილობრივ კოოპერატივებს დაავალოს მუშებისათვის საქონლისა და ავანსად ფულის მიცემა, თუ მუშათა საუბნო კავშირთა რწმუნებულები თავდებობას იკისრებენ. პრესა იტყობინება, რომ დიდი მზადებაა შეფილდში, ლივერპულში, მანჩესტერში და სხვა ქალაქებში გაფიცვის კომიტეტების მოსაწყობად, თუ საერთო გაფიცვა მოხდა. მუშების სამთა კავშირმა მიმართა ყველა მუშებს მოწოდებით შეკავშირდნენ ორგანიზაციულ კაპიტალის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს მოსპოს გამარჯვებანი, რომელიც მუშებმა მოიპოვეს დიდი ხნის და მძიმე ბრძოლით.

სიკვდილიანობა ინგლისში.

ლონდონი, 10 აპრილი. ჯანმრთელობის მინისტრმა გამოაქვეყნა ცნობა ინგლისში ჭლექით გარდაცვლილთა შესახებ. 1917 წელს გარდაიცვალა 55,934 კაცი, 1918—58,073 კაცი, 1919 წ.—46.312, 1920 წ.—45.000.

კონსტანტინოპოლის ამბები.

უკანასკნელი ცნობებით კონსტანტინოპოლიდან მენშევიკური მთავრობა ჟორდანიას მეთაურობით წავიდა პარიზში. კონსტანტინოპოლში დარჩა მარტო ხომერიკი. მოკავშირეთა წრეებმა არავითარი ყურადღება არ მიაქციეს მენშევიკურ მინისტრებს.

ვრანგელიადას ეტყობა, მალე დაუდგება აღსასრული, აქ დარჩენილ ჯარში გახრწნილება სუფევს. ჯარისკაცები, ყაზახები და ოფიცრები ათასობით მოუთმენლათ მოელიან გემ „რეშიდ-ფაშის" დაბრუნებას, რომლითაც ოდესაში წავიდა ვრანგელის ჯარის მეორე ჯგუფი. რუსეთში დაბრუნება ეხლა ერთად ერთი თემაა, რომელიც აღელვებს ლტოლვილთა მასსას. რუსეთის საელჩოში მოიპარეს 20 ათასი ოსმალური ლირა. დაატუსაღეს 5 მონაწილე ამ ქურდობისა, რომელთაგან 3 ოფიცერია. საქმე გადაეცა რუსეთის სამხედრო საველე სასამართლოს.

კონსტანტინოპოლში გარდაიცვალა გენერალი ყაზბეგი, ყოფილი კომენდანტი ვლადივასტოკისა და ყოფილი თავმჯდომარე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა.

ომი ამერიკაში.

ლონდონი, 10 აპრილი. პანამიდან ოფიციალურად იუწყებიან დეპეშით, რომ პოსტა-ტერრეიის ჯარებმა საზღვრები გადალახეს. წყალ სიხავაზე გადავიდნენ და დაიჭირეს გავიტი და ალმირატე. გარნიზონმა დაიხია ბობას-ტერტოლისკენ უბრძოლველათ.

ჩრდილოეთ ამერიკის შტატების მთავრობამ, გაეცნო რა ომის გაჩაღებას პანამასა და კოსტარიკას შორის, ორივე მთავრობას მოსთხოვა დაუყონებლივ შესწყვიტონ სამხედრო მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკა აქტიურათ ჩაერევა ორივე რესპუბლიკის უთანხმოებაშიო. თავის მუქარის დასადასტურებლათ ამერიკის მთავრობამ გაგზავნა სამხედრო გემები კოსტარიკას და პანამის ნავთ სადგურებში ატლანტიის და წყნარ ოკეანეებში. ამ გემებს მინდობილი აქვთ დაიცვან ამერიკელ მოქალაქეების სიცოცხლე და საკუთრება.

ქემალ ფაშის განცხადება.

ტრაპიზონი. 6 აპრილი. ანგორაში დიდ ნაციონალურ კრების წლის-თავის საზეიმო სხდომაზე ქემალ-ფაშამ სთქვა:

პირველი თქვენი შეკრება მოხდა 23 აპრილს 1920 წ. და ამ კრებამ თავის იდო ხალხის მოვლა და მისი ინტერესების გამოსარჩლება და განუცხ. და ამის შესახებ მთელ მსოფლიოს. მაგრამ ამის შემდეგ, სამშობლოს ზოგიერთმა უბადრუკმა შვილებმა, სირცხვილისა და სინდისი დაკარგულთ, მოისურვეს მოეწყოთ გადატრიალება და დაეღუპათ სამშობლო ქვეყანა. ჩვენ შევსძელით არეულობის ჩაქრობა და შევსძელით აგრეთვე ხალხის ოვალის ახელა და განუმარტებთ მას მისი სასარგებლო ინტერესები. ოსმალეთის განთავისუფლების იდეიის გარშემო მთელი ხალხი გაერთიანდა. ჩვენ, მსოფლიო ომში დამარცხებულთ, თავს დაგვესხნენ სხვა და სხვა მხრიდან ბერძნები ფრანგები და ინგლისელები, რომელთაც სურდათ ჩვენი საბოლოოთ მოსპობა. მაგრამ ჩვენ შევძელით შეკავშირება და სათანადო პასუხი გავეცით მათ. ეხლა ჩვენი ლაშქარი ძლიერია და შეგნებულიც. მან მოახერხა დაემტკიცებინა, რომ შეუძლიან დაიცვას უფლება ოსმალეთის ხალხის დამოუკიდებლობისა.

დიდმა ეროვნულმა კრებამ შეადგინა ისეთი ლაშქარი, მოახერხა სათანადო დონეზე დაეყენებინა თავისი თავი და თავისი მთავრობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის წყალობით.

შინაური პოლიტიკა ეროვნული კრებისა არის—დემოკრატიული. ჩვენ მივდივართ ხალხთან და ჩქარა მივაღწევთ საბოლოო მიზანს. ჩვენი საგარეო პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ნება არ მივცეთ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის შელახვისა. არც დიდ ეროვნული კრება და არც მისი მთავრობა არ არიან მილიტარისტული და იმპერიალისტური. ჩვენ ვესწრაფვით მშვიდობიანობის დამყარებას აღმოსავლეთთან და დასავლეთთანაც. ჩვენ შევუთანხმდით ჩრდილო კავკასიას, ავღანისტანს, მესოპოტამიის და არაბეთის ერებს, რომელთა მიმართ ჩვენ ძმურ პოლიტიკას ვაწარმოებთ. ჩვენ გვაქვს შეთანხმება სპარსეთის მთავრობასთან და ამ შეთანხმებას ვამაგრებთ. იმედი გვაქვს ასევე დაგვირგვინდება ჩვენი დამოკიდებულება საქართველოსა და სომხეთთან. ჩვენი კავშირი საბჭოთა რუსეთთან კვლავ რჩება მტკიცე ძმურ კავშირად.

დასავლეთის შესახებ უნდა ითქვას, რომ ინგლისმა აქამდე ჩვენდამი [illegible] დამოკიდებულობით დაამტკიცა მხოლოდ თავისი უკულტურობა. იგი მხოლოდ ეხლა დაადგა დათმობის გზას, როდესაც დარწმუნდა, რომ ვერ მოგვახვევს თავზე სევრის ხელშეკრულებას. ვიგონებ რა წარსულ წელიწადს, როდესაც ჩვენ ომის დასასრულს ბოლომა გვახრჩობდა, და გადავხედავ რა მიმდინარე წლის ამბებს—ვამაყობ ჩვენის წარმატებით. ყველაზე უმთავრესი ის არის, რომ აღარ არსებობს სევრის ხელშეკრულობა. ოსმალეთი ვერ შეურიგდა დამარცხებას. მთელი მისი ხალხი აღსდგა და იცავდა თავის დამოუკიდებლობის უფლებებს. ანტანტას ჩვენ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის უღირსად და უვარგისად მივაჩნდით. ჩვენი ტერიტორიის დანაწილება ხდება, მაგრამ ანტანტა შეცდა იმ დროს, როდესაც განათლებული ეროვნებანი მათ მიერ დაკავებულ ჩვენს ტერიტორიაზე ავიწროვებენ, ამცირებენ, ჟლეტენ ჩვენს მუსულმან ძმებს—ჩვენს ქვეყანაში არა მუსულმანი ელემენტები ჩვენთან ძმურათ და სრულის დამშვიდებით სცხოვრობენ ჩვენი სახელოვან ლაშქრის იარაღის მფარველობის ქვეშ. დიდი ეროვნული კრების წევრთა რიცხვი 350 ავიდა. მეორე წლის დასაწყისი, დაამთავრა ქემალ ფაშამ, საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იქნება ლამაზი განთიადი ჩვენი გატანჯული ხალხისა და ქვეყნისათვის.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 19

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლ. კომიტ. ჯარის ნაწილების მიერ მოქალაქეთაგან ჩამორთმეულ სხვა და სხვა სურსათ-სანოვაგისა და საკლავ საქონლის ანგარიშების განაღდების შესახებ.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლ. აპრილის 3-ს (№ 14) დეკრეტის დამატებად უნდა შესრულებულ იქნეს შემდეგი:

§ 1. ზემოხსენებულ დეკრეტის წესით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შემდგარ კომისიას ევალება განიხილოს აგრეთვე იმ მოქალაქეთა განცხადებანი ანგარიშებისა ან ბარათების განაღდების შესახებ, რომელთაც 1921 წლ. თებერვლის 10 დან დაწყებული წითელ არმიის ნაწილების მიერ ჩამოერთვათ სხვა და სხვა სანოვაგე, პირველ საჭიროების სურსათი, საკლავი საქონელი და ჩამორთმევის დროს არ მიუღიათ ღირებული სასყიდელი.

§ 2. ზემოხსენებულ კომისიის შემადგენლობაში ჩაირიცხნენ: მე-11 არმიის სამხედრო სასურსათო სამმართველოს და მუშათა დ გლეხთა ინსპექციის კომისარიატის მიერ დანიშნული წარმომადგენელნი.

§ 3. მოთხოვნილებათა განხილვის დროს დაცულ იქნეს შემდეგი წესი:

ა) მცხოვრებთაგან ჩამორთმეული ყოველგვარი სურსათისა და საკლავ საქონლის რეკვიზიციის სინამდვილე ყოველ ცალკე შემთხვევაში შემოწმებულ უნდა იყოს მოქალაქეთა ყრილობის მიერ, რომელსაც იწვევს ადგილობრივი რევკომი.

ბ) ამ ყრილობაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწროს რევკომის ერთ ერთი წევრთაგანი, გამორკვეულ უნდა იქნეს: 1) სახელდობრ რა და რა საგანი ან საქონელია ჩამორთმეული, 2) მისივე რაოდენობა ანუ წონა, 3) ყოველი საგნის ნამდვილი ღირებულება, რომელიც ადგილობრივ არსებობდა ჩამორთმევის დროს.

გ) ყრილობის მიერ გამორკვეული ყველა ცნობა შეტანილ უნდა იქნეს ამ მიზნისათვის შედგენილ ოქმში, რომლის სისწორესაც ამოწმებს ადგილობრივი რევკომი სათანადო ბეჭდის დასმით

დ) რევკომებმა არ უნდა იკმარონ ყრილობის მიერ ამ საგნების ღირებულების განსაზღვრით და ვალდებულები არიან დაეკითხონ მცოდნე პირთა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, რათა შეადარონ ერთმანეთს იმათი და ყრილობის მიერ მოხდენილი შეფასება. ყოველ ამის შემდეგ რევკომმა წერილობით უნდა დაადასტუროს ჩამორთმეულ საგნების ნამდვილი და საბოლოო გადასახდელი ფასი.

3) რევკომებმა ყრილობის ოქმს უნდა დაურთონ აგრეთვე წერილობითი ჩვენება ზემოხსენებულ მცოდნე პირებისა და ორგანიზაციებისა, ხოლო თუ ისინი მოწვეულნი არ იყვნენ ღირებულობის აღსანიშნავად და გამოსარკვევად, მაშინ ამანაზღაურებელ კომისიას უნდა აცნობონ, რა მიზეზით არ იყო ეს წესი შესრულებული.

§ 4. უკეთუ განმცხადებელს ხელთ ექნება მათი მოთხოვნილების შესახებ ანგარიშები და კვიტანციები, მიცემული ჯარის ნაწილებისაგან ან ნაწილების ცალკე წარმომადგენელთაგან, იგი უნდა ჩამოერთვას და დაერთოს კომისიაში წარსადგენ საბუთებს. ამასთანავე მათვე წერილობით უნდა განაცხადონ რომ სხვა გაუნაღდებელი ანგარიში ან კვი-

სამჭედლოში

გარიჟრაჟზე სამჭედლოში
შემოიჭრება დილის სხივი,
სიხალისე სულს მიფონავს
თბება გულიც განაცივი.

—

აზუზუნდა შრომის ქურა,
აქორქოლდა საბერველი,
ახმაურდა ცეცხლის ფრქვევით
მორაკრაკე რკინის გრდემლი.

—

სისხლი კი სჩქეფს მაშვრალ მკლავში...
გამალებით სცემს ჩაქუჩი,
თითქოს ყოველ მის დაკვრაზე.
შხამიც მისდევს შენაქუჩი...

—

ჰა, სდუღს შრომა. . ელავს ქურა.
და გიზგიზებს ცეცხლის ალი,
იჭედება სხივ მფინარე—
პირ-მცინარე მომავალი.

—

გრგვინავს გრდემლი... რეკს ლითონი,
საბერველიც დაქორქოლებს,
გამალებით სცემს ჩაქუჩი
დღეს როდი სჭედს ტანჯვის რგოლებს!!

იონა ვაკელი.

ტანცია აღარ მოეპოვებათ და ამის დამადასტურებელი ხელწერილები სხვა სათანადო საბუთებთან ერთად უნდა გაიგზავნოს ამანაზღაურებელ კომისიაში.

§ 5) ვინაიდან კომისიაში ფრიად მრავალი განცხადება მოდის იმ ზარალის ანაზღაურების შესახებ, რომელიც მოსვლიათ მოქალაქეთ წითელი არმიის მიერ მოხდენილ რეკვიზიციის გამო, ამიტომ თემისა, რაიონისა, მაზრისა და ქალაქის რევკომებმა სწორი და უნაკლო აღრიცხვა უნდა აწარმოვონ იმ განცხადებათა, რომელიც მიუვა გამოსარკვევად კომისიისაგან, და აგრეთვე იმ განცხადებათა რომელიც პირდაპირ რევკომში იქნება შეტანილი.

§ 6. 1921 წლის მე-14 №-ს დეკრეტის ყოველ მუხლის მოთხოვნილების უკლებლივ შესრულება, რაც კი შეეხება ზემოხსენებულ განცხადებათა განხილვისა და დაკმაყოფილების წესებს, სავალდებულოა ყველა პირისა და დაწესებულებისათვის და ამიტომ უნაყოფო მიწერ-მოწერის თავიდან ასაცილებლად რევკომები ვალდებული არიან კომისიას მიაწოდონ და აგრეთვე წინათ გამოცემულ დეკრეტში აღნიშნული მასალა შევსებული და დამთავრებული.

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ორახელაშვილი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი **კვირკველია.**

1921 წ. აპრილის 12.

სახალხო სასურსათო კომისრის ბრძანება.

1) ყველა აგენტებს, რომლებიც იგზავნებიან პროვინციაში თბილისის სასადილოების ან და მუშათა და მოსამსახურეთა სხვა ორგანიზაციების მიერ, სურსათის, სათბობ მასალის და ფურაჟის სასყიდლათ, უნდა მიეცეს შესაფერისი მანდატები, სახალხო სასურსათო კომისრის ან მის მოადგილის მიერ ხელმოწერილი.

2) ამ მანდატების გარდა ამ აგენტებს უნდა მიეცეს წერილები სათანადო სამაზრო სასურსათო კომიტეტების სახელზე, და ამ წერილებში აუცილებლად უნდა იყოს აღნიშნული ის, თუ რამდენი ფული აქვს მიცემული ყიდვ სათვის აგენტს და სახელდობრ რა ნაწარმოებების და დაახლოვებით რამდენის სყიდვა აქვს მას დავალებული.

3) ის საქონელი, რომელიც ეძლევა აგენტებს საქონლის გაცვლა-გამოცვლის საწარმოებლათ, იგზავნება მხოლოდ სამაზრო სასურსათო კომიტეტის ან სხვა სასურსათო ორგანოს სახელზე იქ სადაც გაგზავნილია აგენტი; აგენტის მიერ ნაყიდი ნაწარმოებები უნდა გაიგზავნოს თბილისში მხოლოდ სახალხო სასურსათო კომისარიატის სახელზე.

4) აგენტები აწარმოებენ სყიდვას მხოლოდ ადგილობრივ სასურსათო ორგანოების საშუალებით, ან მაზრაში ან რაიონში დაწესებულ ფასების მიხედვით.

5) სახალხო სასურსათო კომისარიატისაგან გაცემულ თანხების მიღების შემდეგ-აგენტებმა მაშინვე დანიშნულ ადგილზე ჩასვლისთანავე უნდა გადასცენ ეს თანხები ადგილობრივ სასურსათო ორგანოს, რომელსაც შეაქვს ისინი სახალხო სასურსათო კომისარიატის ანგარიშზე.

6) ყველა აგენტები (იხ. § 1.) აუცილებლათ ხელმძღვანელობენ „ინსტრუქციით მუშებისა და მოსამსახურეების სასადილოებისათვის", რომელიც დაწესებულია სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ.

7) ამ ბრძანების და ინსტრუქციის შეუსრულებლობისათვის პასუხის მგებლობა ეკისრება კომიტეტს, სასადილოების გამგეებს და აგენტებს.

სახალხო სასურსათო კომისარი **მ. ოკუჯავა.**

საორგანიზაციო განყოფილების გამგე **ბ. მელჩარსკი.**

16 აპრილი 1921 წ.

ქ. თბილისი.

სავალდებულო დადგენილება.

მიუხედავათ იმისა, რომ არა ერთხელ იყო გამოქვეყნებული დებულება, რომელიც ავალებდა რესპუბლიკის ყველა დაწესებულებებს და კერძო მოხელეებს უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებთან და ქვეშევრდომებთან ოფიციალური ურთიერთობის დაჭერას მხოლოდ და მხოლოდ გარეშე საქმეთა კომისარიატის საშუალებით, მხოლოდ დღემდის მის შესრულებაზე არავის უფიქრია, ამიტომ გარეშე საქმეთა კომისარიატი სავსეა საჩივრებით, რომელთაც მას უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები უდგენენ. ამის მიხედვით გარეშე საქმეთა კომისარი სხვა კომისრებთან შეთანხმებით აცხადებს:

1) არც ერთს რესპუბლიკის დაწესებულებას და მით უფრო მოხელეს არა აქვს უფლება რაიმე ოფიციალური ურთიერთობა იქონიოს უცხოელთა მისიებთან, საკონსულოებთან ან კერძო პირებთან *) თუ არა გარეშე საქმეთა კომისარიატის საშუალებით ან ნებართვით.

2) რესპუბლიკის მოხელეთ სასტიკად ეკრძალება მოახდინონ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ბინების რეკვიზიცია, შემჭიდროება, გაჩხრეკა **) ან მორთულობის აღრიცხვა თუ მათ წინასწარი თანხმობა არ ექნებათ საამისოთ გარეშე საქმეთა კომისარიატისაგან.

3) რესპუბლიკის მოხელეთ და დაწესებულებებს სასტიკად ეკრძალებათ მოახდინონ რეკვიზიცია, აღრიცხვა, მაგარ ფასებზე შესყიდვა უცხოელების საქონლისა, მხოლოდ რესპუბლიკის გარე ვაჭრობის ორგანოს (ვნეშტორგს) ან მისგან დავალებულ ორგანოებს აქვთ უფლება იქონიონ კომერციული ურთიერთობა ადგილობრივ უცხოელ კომერსანტებთან.

შენიშვნა: 1) ზემოაღნიშნული მუხლი არ ეხება წვრილ ვაჭრობას.

შენიშვნა: 2) თუ აღნიშნული ორგანო (ვნეშტორგი) არაა დაინტერესებული ამა თუ იმ უცხო ფირმის კუთვნილი საქონლის შესყიდვაში, უკანასკნელი თავისუფლად ასაღებს მას. კომისარიატი აცხადებს, რომ მის განკარგულებაში იქნება განსაკუთრებული რაზმი, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ დადგენილების ასრულებას.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი**; სამხედრო და საზღვაო კომისარი **ელიავა**; გარეშე საქ. კომისარი **ა. სვანიძე**; იუსტიციის კომისარი **ა. ნაზარეტიანი**; განსაკ. კომისიის თავმჯდომარე **ცინცაძე.**

---

*) იმ შემთხვევაში როდესაც უცხოელი რაიმე ბოროტ-მოქმედებას ჩაიდენს, საბჭოთა რესპუბლიკის ორგანოები და მოხელენი ხელმძღვანელობენ საერთო სისხლის სამართლის კანონმდებლობით.

**) უცხოელ კერძო პირთა ბინების გაჩხრეკა დასაშვებია მხოლოდ სისხლის სამართლის საერთო კანონების მიხედვით.

ცირკულიარი.

შრომის განყოფილებათ და საქართველოს საპროფესიო კავშირთა საბჭოს.

შრომის სახალხო კომისარიატის ცნობით, შრომის ზოგიერთი განყოფილება და საპროფესიო კავშირი არსებულ საჭიროება-მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად უკვე აწარმოებს შრომის შესახებ არსებულ რუსულ ლიტერატურის თარგმნას. მოუწვევია საამისოდ განსაკუთრებულნი პირნი და მასალის დამზადებისთანავე განზრახული აქვს მათი დაბეჭდვა, ხოლო ზოგი რამ დასასტამბად უკვე განუმზადებია.

ვინაიდან ასეთი ხასიათის მუშაობას (კანონდებულებათა, განკარგულებათა, ინსტრუქციების და საერთოდ ლიტერატურის თარგმნას და ბეჭდვას) თითქმის თავის დაარსების დღიდანვე აწარმოებს თვით შრომის ცენტრალური დაწესებულება — სახალხო კომისარიატი, რომელსაც ამისთვის საგანგებოდ მთარგმნელთა კოლეგია ჰყავს მოწვეული, და პარალელურად მუშაობის სხვაგან წარმოება მას მიზანშეუწონლად მიაჩნია შრომის სახალხო კომისარიატი წინადადებას გაძლევთ, დღეიდან მაინც მოერიდოთ ზედმეტ ენერგიის დ დროის უსარგებლოდ დაკარგვას, შრომის შესახებ ლიტერატურის და სხვა და სხვა კანონდებულებათა თარგმნასა და ბეჭდვაში.

კოლეგიის წევრი **მიქაძე.**

საქმეთა მმართველი **ბერძნიშვილი.**

საინფორმაციო განყოფილების გამგე **ალ. ლომთაძე.**

უცხოეთის სავაჭრო-სამრეწველო ფირმები.

უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს, საგარეო ვაჭრობის განყოფილების, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საუწყებათაშორისო წარმომადგენლების თათბირის დადგენილება შემდეგ საკითხების შესახებ: ა) რომელი სავაჭრო და სამრეწველო ფირმები უნდა იქნეს იურიდიულათ ცნობილნი უცხო ფირმებათ და ბ) რა ნიშნებით უნდა განისაზღვროს ეს ცნობა.

მოისმინეს რა მოხსენება უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს წარმომადგენლის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. კარტოზიასი, დაადგინეს: უცხო სახელმწიფოთა წარმოებათ აღიარებულ იქმნეს.

1. საქართველოში არსებული სავაჭრო სამრეწველო წარმოებანი, როგორც საზღვარ-გარეთის ამხანაგობის, კომპანიების, საზოგადოებების, კონცორსიუმების, სინდიკატების და ერთ მფლობელების განყოფილებანი, თავისი წარმომადგენლებით სულ ერთია უცხოელი იქნება თუ ადგილობრივი, რომელნიც ვაჭრობენ მხოლოდ საზღვარ-გარეთის საქონლით, უცხოელ კაპიტალისტთა საერთო ანგარიშით და რისკით. მათი ცნობისათვის აუცილებლათ საჭიროა სათანადო დაწესებულებაში წარდგენა ჩაწერილ წესდების № 6 ხელშეკრულობის და აგრეთვე ამ ფირმების და პირთა რწმუნების ქაღალდის და წერილობით სავაჭრო დავალებათა გაცემული თავის წარმომადგენელთა სახელობაზე.

2. სავაჭრო-სამრეწველო წარმოებანი, როგორც განყოფილებანი, რომელთაც განაგებს თავის პასუხის მგებლობით და რისკით გენერალური წარმომადგენლები (უცხოელები და ადგილობრივი) საწყობში არსებულ საზღვარ-გარეთიდან მოსულ საქონლის ფასის გადაუხდელათ (საკომისიონეროები), მათი ცნობისათვის საჭიროა წარდგენა წესდებებისა და ხელშეკრულებებისა და აგრეთვე რწმუნებულების და სავაჭრო წერილებისა (კორესპონდენცია და დავთრები), რომელთა სინამდვილეშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლება.

3) სავაჭრო და სამრეწველო წარმოებანი, რომელთაც ჰყავთ უცხოელი და ადგილობრივი გენერალური წარმომადგენლები და რომელნიც იხდიან საქონლის ღირებულებას და აქვთ განუსაზღვრული პასუხისმგებლობა (მონოპოლისტები). მათი ცნობისათვის საჭიროა მოთხოვნა სათანადო შემოწმებულ ხელშეკრულების ან წერილობით სავაჭრო დავალებისა და აგრეთვე ფაქტურების და ანგარიშების დედნებისა.

4) სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთა პატრონებიც უცხოელები არიან, როგორც ერთპიროვანი მფლობელნი ან უცხოელები, ადგილობრივ კაპიტალის შემწეობით მომუშავენი მათი ცნობისათვის საჭიროა სათანადო შემოწმებული ხელშეკრულებანი, რომელთა სინამდვილეშიც ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდეს.

ამასთანავე საჭიროა გამოკვლევა კანონიერი საბუთებით, ნატურალიზაციის და ამ პირთა მიერ უცხო ქვეშევრდომების მიღების დროს, რომელიც უნდა მომხდარიყო 1920 წლის დამლევამდე. თხოვნათა და საერთო საკითხების შესახებ ამ დებულების ძალით ფირმების და პირთა უცხოელათ აღიარების და უცხო სახელმწიფოთა უფლებებით სარგებლობის თხოვნების და საკითხების განსახილველათ უნდა შესდგეს საგარეო ვაჭრობის გამყოფილებასთან კოლეგია, რომელშიაც შევლენ საგარეო ვაჭრობის განყოფილების, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს და გარეშე საქმეთა სახალხო კომისარიატის თითო წარმომადგენელი. 15 აპრილი 1921 წელი.

სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ხ. კარტოზია.**

გარეშე საქმეთა სახალხო კომისარი **ა. სვანიძე.**

საგარეო ვაჭრობის კომისარი **ა. მოდებაძე.**

დეკრეტი № 21.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ.

1) სარწმუნოება არის პირადი საქმე ყოველი მოქალაქისა, ყოველ მოქალაქეს შეუძლიან აღიაროს ის სარწმუნოება, რომელიც მას უნდა, ან და არც ერთი არ აღიაროს.

2) სარწმუნოება არავითარ უპირატესობას და პრივილეგიებს არ ჰქმნის.

3) ეკლესია განიყოფება სახელმწიფოსაგან.

4) აკრძალულია გამოცემა ადგილობრივი ხასიათის კანონებისა ან დადგენილებებისა, რომელთაც შეუძლიანთ შეზღუდვა ან შევიწროება სინიდისის თავისუფლებისა.

გაუქმებულია ყველა ის კანონები და დადგენილებანი, რომლებიც მოქალაქეს უზღუდავდნენ ან უსპობდნენ უფლებას ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარებისა ან საერთოდ სარწმუნოების უარყოფის გამო.

შენიშვნა: ყველა ოფიციალური აქტებიდან ამოშლილ უნდა იქნეს ყოველგვარი ცნობა სარწმუნოების აღიარებისა ან მისი უარყოფის შესახებ.

5. სახელმწიფო ან სხვა საჯარო უფლებით მოსილ საზოგადო დაწესებულებათა მოქმედების დროს აკრძალულია სარწმუნოებრივი წესების ასრულება.

6. სარწმუნოებრივი წესის შესრულება უზრუნველყოფილია იმდენად, რამდენადაც იგი არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და არ ზღუდავს მოქალაქეთა უფლებებს.

ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლიან ამ გვარ შემთხვევების დროს მიიღოს საჭირო ზომები საზოგადოებრივ წესრიგისა და მშვიდობიანობის დასაცავად.

7. არავის არა აქვს უფლება თავისი სარწმუნოებრივი შეხედულების მიზეზით უარი განაცხადოს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებაზე; როგორც გამონაკლისი ამ მუხლისა, შეიძლება ერთი სამოქალაქო ვალდებულების მეორეთი შეცვლა ყოველ ცალკე შემთხვევაში, თანახმად სახალხო სასამართლოს განაჩენისა.

8. სარწმუნოებრივი ფიცი ან დაფიცება გაუქმებულია; აუცილებელ შემთხვევაში შეიძლება საჯაროთ აღთქმის დადება.

9) სამოქალაქო მდგომარეობის აქტებს მხოლოდ სამოქალაქო მართველობის ორგანოები ასრულებენ, სახელდობრ: სამოქალაქო მდგომარეობის აღრიცხვის განყოფილებაში.

10) სკოლა განიყოფება ეკლესიისაგან.

11) აკრძალულია სამღვთო სჯულის სწავლება სახელმწიფო, საზოგადოებრივ და იმ კერძო სასწავლებლებში, სადაც საერთო განათლების ხასიათის საგნებს ასწავლიან; სამღვთო სჯულის სწავლება ან მისი შესწავლა მოქალაქეებს შეუძლიანთ კერძოთ.

12) საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებანი ექვემდებარებიან არსებულ საერთო დებულებებს საზოგადოებათა და კავშირების მოქმედების შესახებ, და არ სარგებლობენ არავითარი უპირატესობით ან დახმარებით არც სახელმწიფოსა და არც მის ადგილობრივ ან სხვა ავტონომიურ თვითმმართველ ორგანოების მხრივ.

13. აკრძალულია საეკლესიო და სარწმუნოებრივი საზოგადოებათა სასარგებლოდ იძულებითი გადასახადების დაწესება და აკრება; აკრძალულია აგრეთვე აღნიშნულ საზოგადოებათა მხრივ თავიანთ წევრების მიმართ ძალდატანებითი მოქმედება ან მათი დასჯა.

14. არც ერთ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებას არა აქვს უფლება იქონიონ საკუთრება. მათ იურიდიული პიროვნების უფლება არა აქვთ.

15. საქართველოს რესპუბლიკაში არსებულ საეკლესიო და სარწმუნოებრივ საზოგადოებათა მთელი ქონება გამოცხადებულია სახალხო კუთვნილებად.

ის შენობები და ნივთები, რომლებიც მღვდელსახურობის კულტის შესრულებისათვის არის საჭირო, მიეცემათ სათანადო სარწმუნოებრივ საზოგადოებათ სარგებლობისათვის უფასოთ ადგილობრივი ან ცენტრალური მმართველობის საგანგებო დადგენილებით.

სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფილ დეკრეტის ცხოვრებაში გატარების წესის შესახებ გამოქვეყნებულ იქნება ცალკე ინსტრუქცია იუსტიციის სახალხო კომისარიატის მიერ.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ორახელაშვილი.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ. აპრილის 15.

ამხ. თაბუკაშვილის დასაფლავება

17 აპრილი 1921 წ.

ბურუსიანი დილა.

დრო გამოშვებით სწინწკლავს, მსხვილი და თბილი წვიმა. ყოველ მხრიდან პლეხანოვის პროსპექტისკენ მიდიან მოქალაქეთა ჯგუფები. მწყობრად მოვიდნენ სამხედრო ნაწილები.

წესიერად, ლამაზ კოლონებით, მოახლოვდნენ მუშათა ორგანიზაციები, რაიონული და პროფესიონალური კავშირები.

11½ საათისთვის მთელი პლეხანოვის პროსპექტი კიროჩნი ქუჩამდის და თვით კიროჩნი ქუჩა გავსებული იყო ჯარის და ორგანიზაციების შპალერებით.

ნელა ირხევიან ალოვლივ წითელი დროშები.

სწორედ შუადღისას სავადმყოფოს ეზოდან გაისმა დიდებული სამგლოვიარო მარშის ხმა და ჯავშნიან მატარებლის „საბჭოთა საქართველოს" სარდლობის მხრებზე გამოჩნდა მუხის მძიმე სახურავით დახურული კუბო, ლენტებით მორთული.

წინ გვირგვინები, მის წინ ფოტოგრაფიული სურათი დაღუპულ ამხ. თაბუკაშვილისა და წითელი დროშის ორდენი, რომლითაც ის იყო დაჯილდოვებული განუწყვეტლივი მისი სამხედრო მოქმედების გამო.

ნელა მოასვენებენ კუბოს.

მას მოსდევენ ახლო მეგობრები დაღუპულისა და პასუხისმგებელი ამხანაგები. სავადმყოფოს კარებში ორწყობად ეწყობა ჯავშნიან მატარებლის სარდლობა და მოსდევენ კუბოს.

ხუთი ორკესტრი რიგ-რიგობით უკრავენ სამგლოვიარო მარშს.

ნელი ქარი არხევს დროშათა ტილოს.

დიდი პროცესია გრძელდება: მისმა თავმა დიდი ხანია, რაც 26 მაისის ქუჩას მოაღწია, ბოლო კი, პლეხანოვის პროსპექტამდე გრძელდება.

2 საათის დამლევს პროცესია შედის დაღუპულ კომუნართა ბაღის ქვემო კარებში. აქ, ძმათა სასაფლაოს წინ, უკვე მზად არის ახალი ღრმა და ვიწრო საფლავი.

მძიმე კუბო ეშვება მის გვერდით—მიწაზე. ჯარი და ორგანიზაციები შესანიშნავ წყობრად ლაგდებიან მის გარშემო.

ძმათა სასაფლაოსთან მოსჩანს ამაღლებული მწვანეთ მორთული ტრიბუნა.

მასზე ადის ამხ. ორახელაშვილი.

— „მოქალაქენო, ყველა მშრომელნო,—მიმართა საქართველოს რევკომის თავმჯდომარის მოადგილემ,—მოვიხადოთ ქუდები სალამის ნიშნად საფლავის წინაშე, რომელიც, რამოდენიმე წუთის შემდეგ მიიღებს რაინდის გვამს, კომუნიზმისათვის ბრძოლაში დაღუპულისა. დაუშვათ ჩვენი დროშები".

წყნარი შრიალით ეშვებიან ურიცხვი დროშები. მძლავრი [illegible] დიდებული ხმა [illegible] სამგლოვიარო მარშისა ისმის გარშემო.

დადუმდნენ უკანასკნელი აკკორდები.

ტრიბუნაზე საქართველოს ცენტრალურ რევკომის სახელით, ქართულ ენაზე ამბობს სიტყვას ამხ. ორახელაშვილი, სიტყვა ითარგმნება რუსულ ენაზე.

ამხანაგებო და მოქალაქენო, ჩვენ ვასაფლავებთ ნეშთს კომუნიზმისათვის ბრძოლაში დაღუპულ რაინდისას. ლუკიან თაბუკაშვილმა შეისისხლხორცა სრული სიდიადე არამც თუ წითელ მებრძოლისა, არამედ სიდიადე პოლიტიკურ ხელმძღვანელისაც. მაგრამ საფლავს გადავცემთ მხოლოდ გვამს და მისი სული კი დარჩება ჩვენში და ემსახურება იმ დიდ საქმეს, რასაც თავის სიცოცხლის განმავლობაში ემსახურებოდა. დიდი რუსეთის ველ-მინდვრებში, სადაც იგი ებრძოდა შავი რეაქციის მოციქულებს და დენიკინის შავს ბრბოს, იგი გადარჩა. ტყვიამ მოასწრო მას „თავის სახლში" მენშევიკურ საქართველოში. ეს მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რას წარმოადგენდა მენშევიკების საქართველოსი. დაღუპულში მათ ჰპოვეს თავისი საფრთხე, მიუხედავათ იმისა, რომ ის აქ მხოლოდ ისვენებდა და ყველაფერისაგან იყო ჩამოშორებული და არც კი ეკავშირებოდა თავის პარტიას. მაგრამ ჩვენ არ ვიძიებთ შურს, თუმცა შეგვიძლია.—შურს არ ვიძიებთ მიტომ, რომ ეს ჩვენს სულს არ ეგუება.

ჩვენი შურის-ძიება იქნება ის, რომ ჩვენ დავანგრევთ იმ ბურჟუაზიულ მწყობილებას, რომლის ლაქიებად იყვნენ მენშევიკები. ჩვენ დავანგრევთ მას და ეს იქნება საუკეთესო ძეგლი დაღუპულის საფლავზე.

საქართველოს და თბილისის კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სახელით გამოდის ამხ. ცერცვაძე:" აქ, აი სწორედ ამ ადგილას, ამბობს ორატორი—მენშევიკებმა მიაღწიეს თავის ბოროტ-მოქმედების აპოგეას. 10 თებერვალს 1918 წ. აი სწორედ ამ ადგილზე ისინი გვხვრეტდნენ ჩვენ, რომლებმაც აღვიმაღლეთ ხმა. ჩემი სიტყვა იმ დროს შეწყვეტილ იქმნა სროლით და მე კი შემთხვევით გადავრჩი, მაგრამ ისტორია მაინც თავის საქმეს აკეთებს, და სახელდობრ, აი ამ ადგილას ჩვენ ვაბარებთ მიწას ჩვენს უკანასკნელ მსხვერპლს.

მაშინ ისინი მუსავატელებთან და კადეტებთან ერთად ხსნიდნენ თავის სეიმს. მაშინ მათ ეკუთვნოდათ მთელი ამიერ-კავკასია. იქ კი,უკრაინაში, ყუბანში და ჩრდილო კავკასიის საზღვარზე აწარმოვებდნენ თავის ბოროტ-მოქმედებას რუსეთის შავ-რაზმელები. ეხლა ყველაფერი ეს ჩვენია. კასპიის ზღვა შეერთებულია შავ-ზღვასთან და ისინი კი, ვინც აწყობდა ბოროტ მოქმედებას შავი ზღვის იქითაა, გადარეკილი. მე მაშინ, თებერვლის დღეს, აქ ვამბობდი, რომ განმეორდა ისტორია მეთქი, ხოლო სხვა და სხვა ფორმებში და მაშინვე ვიწინასწარმეტყველე მათი დამხობა. იმ ღამესვე წავედი დუშეთში, სადაც მეორე დღესვე გლეხებმა გამოიტანეს რეზოლიუცია, მოთხოვნილებით, რათა დამყარებულ ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლება. მენშევიკები ხვრეტდნენ მშვიდ, არადამნაშავე მცხოვრებლებს, რომლებიც არც კი ებრძოდნენ მათ. თაბუკაშვილი—საქართველოს შვილია, მუშაობდა რუსეთში, პეტლიურას მიერ იყო გაგზავნილი გერმანიაში და დაიღუპა თავის სამშობლოში. თაბუკაშვილი—თვით მოსწავლე, გამოსული ხალხის ულრმეს წიაღიდან, მოკვდა პროლეტარიატის ნათელ მომავლისათვის დაეცა მსხვერპლად სოციალისტურ წყობილებისათვის ბრძოლაში. ის ეკუთვნოდა წითელ არმიის შემადგენლობას. მსოფლიოს არ ახსოვს ამის მაგვარი არმია. ამნაირი არმია არ ჰყავდა არც ალექსანდრე მაკედონელს და არც ნაპოლეონს. რაშია მისი ძალა? ძალა მისი იმაშია, რომ ის, როგორც მითიური ტიტანი, იღებს ძალას მიწიდან, რომ ის მუდმივად ემყარება მსოფლიო პროლეტარიატს და მას ვერც ვერავინ დაამარცხებს. შრომის სამეფოს და სამართლიან განაწილების დამყარება—აი ამ არმიის მიზანი, რომლის შემადგენლობასაც ეკუთვნოდა დაღუპული. რუსეთში, აზერბეიჯანში და აქ, ჩვენსას—კომუნიზმია.

ევროპაში თან და თან უფრო ძლიერდება და მრისხანდება კომუნისტური მოძრაობა, და უნდა ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ, და თან მალ-მალ მოვიგონოთ ხოლმე ამნაირი რაინდები, როგორიც იყო თაბუკაშვილი. საუკუნო სახსოვარი მას და მისთანებს, რომლებიც, როგორც ეს, დაეცნენ თავის სადარაჯოზე. გაუმარჯოს მსოფლიო საბჭოთა ხელისუფლებას. გაუმარჯოს კავშირს საბჭოთა რესპუბლიკათა შორის. გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიის შტაბს მე-3 ინტერნაციონალს.

მე-11 არმიის პოლიტიკურ განყოფილების სახელით გამოდის ამხ. ლისოვსკი—წითელი არმია საქართველოს მშრომელ მასსასთან ერთად გლოვობს შენს საფლავზე. მხურვალე მებრძოლი საქართველოს მშრომელთა გასათავისუფ-

ლებლად იბრძოდა რუსეთის წითელ არმიელთა რიგში, მსოფლიო კაცობრიობის ბედნიერებისათვის. მისი ჯავშნიანი მატარებლები სცელავდნენ მტერს. მისი გული შემკული იყო უმაღლეს საჩუქრით-წითელ დროშის ორდენით. მაგრამ სახელოვან ბრძოლაში არ მოკვდა გმირი. ის იყო გატაცებული წითელ არმიის მტრებით. ჩვენ არ ვსტირით ჩვენ გმირთა საფლავზე, და თუ ჩვენ ვსტირით, მაშინ ჩვენი ცრემლები გადიქცევიან ხოლმე ტყვიის წვიმებად, რომელიც ეცემა ჩვენს მტრებს. იძინე წყნარად, ძვირფასო მეგობარო. შენი საქმე არ მოკვდება. ეს წითელი დროშები, წითელი არმიისა აღიმართებიან ახალ ცხოვრებაზე, შრომის წითელ ტაძარზე. ზიზღი და კრულვა მკვლელებს. საუკუნო ხსოვნა დაღუპულებს.

ამხ. ლისოვსკის სცვლის ამხ. გლადოვსკი, რომელიც ამბობს სიტყვას ყველა ჯავშნიან ნაწილების სახელით. ამხანაგებო, ჩვენ ვასაფლავებთ წითელ ჯავშნიანს, რომელიც იბრძოდა უკრაინაში წითელი ლაშქრის რიგებში. მძიმეა ჩვენთვის, წითელ ჯავშნოსნებისთვის, ეს დანაკლისი. მაგრამ ჩვენ აქ საჯაროთ ვაცხადებთ, რომ დაღუპულ თაბუკაშვილის საქმეს დავამთავრებთ ჩვენ. განისვენე ამხანაგო მშვიდათ. შენს საქმეს ჩვენ დავამთავრებთ.

უკანასკნელად გამოდის ამხ. ისმაილხაკი, რომელიც ამბობს სიტყვას თურქულ ენაზე, ყველა თურქ კომუნისტების და „ადალეტის“ პარტიის სახელით. მისი სიტყვა მოკლეა და ახასიათებს დაღუპულის ღვაწლს რევოლიუციის წინაშე.

უკანასკნელი პატივის ცემა—უკანასკნელი გამომშვიდობება: ყველა ორკესტრების მიერ შესრულებული ინტერნაციონალის მძლავრი ხმები არღვევენ ჩამოვარდნილ სიჩუმეს. მძიმეთ უშვებენ კუბოს საფლავში... აყრიან მიწას...

მწყობრად იშლებიან ჯარის ნაწილები. მწყობრათ გამოდიან და იშლებიან ყველა მიმართულებით მუშათა ორგანიზაციები.

ქრონიკა

◆ **ქ. ყიფიანის დასაკრძალავად 300,000 მანეთი.** საქართველოს რევკომის განკარგულებით, სამასი ათასი მანეთი გადაეცა სახელმწიფო დრამის კომისარს ი. ხარძალიშვილს, დამსახურებულ მსახიობის კოტე ყიფიანის დასაკრძალავად.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში.** კვირას, 24 აპრილს, პირველად ამ სეზონში წარმოდგენილი იქნება ტრიფრამიშვილის პიესა „შეშლილნი“. პიესას სდგამს რეჟისორი ალ. წუწუნავა.

შაბათს, 23 აპრილს, მესამედ „ღალატი“.

◆ **შრომის სახალხო კომისარიატში.** შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიამ აპრილის 6-ს სხდომაზე დაადგინა მიმართოს საგანგებო მოწოდებით მუშებს, რომ ხმები ქალაქის მუშაობისგან სოფლებში მიწვევისა და სახლების ჩამორთმევის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება და პროვოკაციული მიზნით ვრცელდება.

იმავე სხდომაზე დაადგინეს აეკრძალოს მუშებსა და მოსამსახურეებს ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა ადგილობრივ კომიტეტების ნებადაურთველად.

◆ **ლტოლვილი სომხები.** საქართველოში მყოფმა სომხეთის ს. ს. რ. სრულუფლებიან რწმუნებულმა აცნობა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომ ვანქის სომეხ-გრიგორიანთა გალავანში მოგროვილა 100-მდე ლტოლვილი სომხები, რომელთა შორის ბევრი ავათ არის სახადით და სხვა გადამდებ ავათმყოფობით და სთხოვს განკარგულებას, მოათავსონ ავათმყოფი ლტოლვილები საავათმყოფოებში, რომ გადამდები ავათმყოფობა არ გაავრცელონ. ლტოლვილებს დღეში ეძლევათ თითო გირვანქა პური. სომხეთის ს. ს. რ. სოციალური სამზრუნველო ლტოლვილთათვის სადილის მიწოდებას შეუდგება.

◆ **სანიტარული მდგომარეობა თბილისისა.** ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილების სანიტარულ ეპიდემიურ ქვეგანყოფილების გამგემ ექიმმა ა. ი. ქუთათელაძემ ცალკე მოხსენებაში სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატისადმი აღნიშნა, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს წყალსადენის წყალი და აგრეთვე შეკეთდეს ქუჩები და მოედნები, რომლებიც 7 წელიწადია არ შეკეთებულა. ექიმი ქუთათელაძე ამბობს აგრეთვე, რომ ეხლანდელ დახურულ ბაზრების მაგივრათ საჭიროა გაიმართოს ახალი ბაზრები სასანიტარო-სამკურნალო მეცნიერების მოთხოვნილებისამებრ. მოხსენებაში ნათქვამია, რომ სასურველია აგრეთვე ამისთვის მტკვრის მარჯვენა ტოტი და მადათოვის კუნძული და გაშენდეს ბაღი თეატრითა, ბიბლიოთეკით, კინემატოგრაფით და სხვ. საზოგადო კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებით.

◆ **სხვა და სხვა სნეულებანი 1-დან 7 აპრილამდე.** 1-დან 7 აპრილამდის პარტახტიანი სახადით ავად გახდა 19, მუცლის სახადით 6, შებრუნებულ სახადით 2 და ყვავილით 2. საავათმყოფოდან გაეწერნენ: პარტახტიანი სახადით 11, მუცლის სახადით 7, შებრუნებული სახადით 2 და ყვავილიანი 1, ყელჭირვებით 1. ამ ჟამად საავადმყოფოში იმყოფება პარტახტიანი სახადით 25‘ მუცლის სახადით 6, შებრუნებული სახადით 5, ყვავილიანი 1 და ყელჭირვებით 2.

◆ **საქართველოს რკინის გზებზე მოძრავი შემადგენლობა აპრილის 14 ს.** საქართველოს რკინის გზებზე აპრილის 12-დან 14 მდე დატვირთული იყო 173 ვაგონი, მიღებულ იქმნა 57 დატვირთული ვაგონები, გადმოტვირთულა 96 ვაგონი, სხვა გზებზე გაიგზავნა 123 ვაგონი, დაუტვირთველი დარჩა 15 ვაგონი. გზაზე მთლად 3256 ვაგონი იყო. ამ რიცხვიდან 963 გზაში იმყოფება: სამეურნეო ნაწილში—5, საბინაოში—45, შესაკეთებლათ 117, სადგურებზე სამხედრო მატარებლების ნაწილში 2121.

◆ **ნავთი.** აპრილის 16-ს ბაქოდან ახტალაში მოვიდა სამარშრუტო მატარებელი 40 ქვაბი ნავთით.

◆ **კოოპერატივ „დახმარება“-მ** მიიღო ქართლიდან ვაშლი („ანტონოვკა“, „წითელი კალვილი“, „ბროცკი“). **წევრთ** მიეცემათ 20 გ-რ. **ხოლო არა წევრთ** 5 გირვანქამდე. მიღება შეიძლე კოოპერატივების ორთავ განყოფილებაში (თავისუფ. მოედანი, თამამშევის ქარვასლა და ოლღას ქ., № 28).

◆ **ფინანსთა სახალხო კომისარიატისაგან.** კიდლის გაზეთებში 14 აპრილს გამოქვეყნებული იყო ცნობა ფინანსთა სახალხო კომისარიატთან კოლეგიის დაარსების შესახებ. აღნიშნული ცნობა არ შეეფერება ფაქტიურ მდგომარეობას, რადგანაც გამოცხადებულ კოლეგიის შემადგენლობა არის მხოლოდ ინსტრუქტორთა კოლეგია, რომელმაც უნდა მოახდინოს ყოფილ ფინანსთა სამინისტროს რეორგანიზაცია. ფინანსთა სახალხო კომისრიატთან კი კოლეგია ჯერ არ არსებობს.

ხელოვნება

სახალხო მომღერალთა გუნდი.

ყველამ კარგად უწყის რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს ერის ცხოვრებაში სახალხო მუსიკას. რომელ ერსაც სურს კულტურულად მაღლა დადგეს და ზნეობრივ-სულიერად გასპეტაკდეს, მან აუცილებლათ უნდა დაისახოს მიზნად სახალხო მუსიკის აყვავება, სახალხო სიმღერა-გალობის შეკრება, მოვლა, გავრცელება, და ეს ყოველივე შეიძლება შესრულდეს მუდმივი სახალხო გუნდის დაარსებით, სახალხო სიმღერა-გალობის კურსების გახსნით და სხვ. ჩვენში ბევრი ფული დახარჯულა ამ საქმეზე, სპეციალისტებისათვის მიუციათ ფულები, დაუვალებიათ ამ საქმის მოწყობა, მაგრამ ვერა გაუკეთებიათ რა. ჩვენ გვახსოვს, კოოპერატივთა კავშირმა ბევრი ფული დახარჯა გუნდის დაარსებაზე, მაგრამ იმ „გუნდმა“ თუ „კაპელამ“ ჩაილურის წყალი დალია. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მოთავენი იყვნენ მხოლოდ აღჭურვილნი თეორიული ცოდნით და პრაქტიკულად კი მოიკოჭლებდნენ რასაკვირველია, არც მარტო პრაქტიკული ცოდნაა საჭირო ამ საქმეში. ასე თუ ისე, ახლა მაინც საჭიროა და აუცილებელიც შესდგეს ერთი და მუდმივი სახალხო მომღერალ-მგალობელთა გუნდი, არა ნაკლებ 50 კაცისა, რომელიც მოვალე იქნება ყოველივე საზეიმო, ან სახალხო გამოსვლებში მონაწილეობა მიიღოს. ამ საქმის ჩქარა მოწყობა შეადგენს სახალხო განათლების კომისარიატის მოვალეობას, რომელმაც უნდა ხარჯი გაიღოს გუნდის მუდმივი არსებობისათვის, ჩვენ ვიცით, რომ ერთ-ერთ ძველმა სახალხო გუნდმა მიმართა ოფიციალური განცხადებით საქართველოს ხელოვნების კავშირს დ ეკავშირს, რომ ამდენ ხანს დავიანდა ამ მნიშვნელოვან საქმის სათანადოთ დაგვირგვინება. ჩვენ გვჯერა და დარწმუნებულიცა ვართ ამ ფრიად მნიშვნელოვან საქმეს განათლების კომისარიატი მფარველობას გაუწევს და ხელოვნების ცენტრის კავშირის შუამდგომლობით მალე გადაწყდება გუნდის საქმე, ვინაიდგან ჩვენში ბევრი ახალგაზრდა ნიჭიერნი. ხმებით და მუსიკალური სმენით დაჯილდოვებულნი მოგვეპოვებიან. და უპატრონობისაგან იღუპებიან.

მიხო ხოვდელი.

მკითხველის წერილები

რკინის გზის მოსამსახურეთა პერსონალი უნდა გაჯანსაღდეს.

დღევანდელ გარდამავალ ხანაში ჩვენ არა გვაქვს საშვალება, რკინის გზის ოჯახი, ეს რესპუბლიკის ყავარჯენი მავნე ელემენტებისაგან გავწმინდოთ, ეს უნდა მოხდეს თანდათანობით. დღეს ხშირად გაიგონებთ საყვედურს, რომ ბევრმა არა საიმედო პირებმა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოიკალათესო. მართალია, ასეთები ბევრი იყვნენ მენშევიკების დროს, ბევრნი იქნებიან ჩვენს დროსაც, მაგრამ თუ ძველი მთავრობის დროს ასეთ ბატონებს მშვიდათ ეძინათ და არავინ მათ პასუხს არ თხოვდა, სულ სხვა იქნება ჩვენთან: აქ კი ყურდლის ძილიც ასეთ მავნე ელემენტებისათვის სანეტარო გახდება. ასეთებისთვის ჩვენ გვაქვს უჩინ მაჩინის სარკე. ჩვენ პატივს ვცემთ ყველა პატიოსან მშრომელთ ტეხნიკურ ცოდნით აღჭურვილთ, კარგს ადმინისტრატორებსაც. ჩვენ მუდამ დარაჯათ ვიდგებით მათი ინტერესებისთვის, მაგრამ, ვიმეორებ, საჭიროა რკინის გზის მოხელენი და მუშა მოსამსახურენი ამაღლდნენ სულიერათ, მოისპოს ზოგიერთ ადმინისტრატორების მიერ ცხვირის ზევით აწევა; აგრეთვე დაბალი მოსამსახურეები თავის მოვალეობას უნდა პირნათლად ასრულებდნენ, რომ არ მისცენ საბაბი უფროსებს; ჩვენ ლმობიერათ ვეპყრობით და ამიტომ აღარ ასრულებენ თავის მოვალეობასო. დღეს ხდება ერთგვარი მოწესრიგება შტატისა, და როდესაც ეს პროცესი დასრულდება, ჩვენ შევძლებთ შემდეგში ჩამოვყალიბოთ არამც თუ რკინის გზის მოსამსახურეთა შემადგენლობა, არამედ მთელ საბჭოთა დაწესებულებებში შეცდომით შეპარულ მავნე პირებისაგანაც გავწმინდოთ რესპუბლიკა.

ვ. თოდრია.

16 აპრილი, თფილისი.

პროფესიონალურ კავშირებში

ხის დამმუშავებელთა (ხარატების) კავშირში.

გამგეობამ გადასწყვიტა მოაწყოს კავშირთან ეკონომიური განყოფილება.

შინა მსახურთა კავშირში.

გამგეობამ სასურსათო კომისია აირჩია, რომელსაც დაევალა კავშირისთვის სანოვაგის შეძენა და სასადილოს მოწყობა. აგრეთვე არჩეულ იქმნა საბინაო სამეული.

მხერხავთა კავშირში.

საერთო კრებამ დაადგინა: სცნობს რა პრინციპს კავშირის არჩევნებისას წარმოების მიხედვით უდროოდ მიაჩნია კავშირის დამოუკიდებელი არსებობა. ყოფილ კავშირის გამგეობამ გადასწყვიტა ჩამოართვას ხაზინადარს ნაღდი ფული და გადასცეს ხარატების კავშირს, მასვე გადაეცეს საერთო მხერხავთა კავშირის საერთო ქონება.

მიწისა და ტყის მუშათა კავშირში.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიაში კავშირის გამგეობიდან არჩეულ იქნენ ამხ. ფანცხავა და რცხილაძე.

არჩეულ იქნა კავშირის პრეზიდიუმში ამხ. ანდრონიკაშვილი—თავმჯდომარედ, ფანცხავა და სვანიძე—თავმჯდომარის ამხანაგებად, ჩადუნელი—მდივნათ. ამხ. ბოროზდინი—ხაზინადრად და პრეზიდიუმის წევრებათ მაჩაიძე და კუდუბია.

გამგეობამ დაადგინა დაავალოს ამხ. კაჟაროვს მოაწყოს კავშირის უმუშევარ წევრთათვის ორგანიზაცია პურის ულუფის მისაღებად.

გამგეობამ დაადგინა სამსახურის მოვალეობიდან გაანთავისუფლოს ყველა ის ამხანაგები, რომელნიც საპასუხისმგებლო მუშაობას ეწევიან, როგორც მაგალითად, კავშირის წევრები, განყოფილებების გამგეები სამსახურის ძველი ალაგების შენახვით.

პროვინციაში

ქ. ხაშური.

ელვის სისწრაფით მოედო ქალ. ხაშურს მენშევიკების მიერ დახოცილ ამხანაგების დასაფლავების ამბავი. ოთხი წლის განმავლობაში ქართველ მენშევიკების კლანჭებში გამომწყვდეულ ხაშურის ღარიბ გლეხებს და მუშებს ვერც კი წარმოედგინათ ამ დღემდი, თუ ძალა-უფლება გადასული იყო მუშათა და გლეხთა ხელში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ხაშურის მშრომელმა ხალხმა სრულიად თავისუფლათ შავ მიწას მიაბარა მენშევიკების მიერ დახოცილი ამხანაგები: ჩადუნელი, კორკოტაძე, ვასიკო ჩაფრაძე და ილიკო აბაიძე, მხოლოდ მაშინ დარწმუნდა ის, რომ მტარვალთა ტახტი დამსხვრეულია და საქართველო აღდგა, როგორც საბჭოთა სოსიალისტური რესპუბლიკა. ყველას სურდა მიეღო მონაწილეობა ამ დღეში, ერთი კვირით ემზადებოდა ხაშურის მუშები და გლეხობა ამ დღის სასურველათ ჩატარებისათვის. 17 აპრილი, რაღაც არა ჩვეულებრივ დღეთ იყო წარმოდგენილი. ყველა ემზადებოდა განურჩევლად მიმართულებისა, ბევრს გული შესტკიოდა, და ამიტომ ღებულობდა მონაწილეობას, ისინი შეადგენენ უმრავლესობას. პროცესსია შეიკრიბა პარტიულ კომიტეტების ბინასთან. პროცესსიას შეუერთდა შეიარაღებული ძალები, ხაშურის დ ქვიშხეთის ახალგაზრდობა, პარტიული ამხანაგები და ადგილობრივი მილიცია. პროცესია დაიძრა.. მას გზადაგზა უერთდებოდა სოფლიდან ჩამოსული ხალხი.. პროცესსია შეჩერდა იოსებ ძნელაძის სახლთან, სადაც დასვენებული იყო ამხანაგები, აქედან გაემგზავრა, სადაც ჯალათებმა ვერაგულათ დახვრიტეს ისინი. გზა და გზა მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. ხორო მღეროდა... და აი, პროცესიამ მიაღწია დანიშნულ ადგილამდე. მიტინგს გახსნილათ აცხადებს ამხანაგი ლენტო ქურდაძე. პირველ სიტყვას ხაშურის რევკომის სახელით ამბობს ამხ. ლავრენტი გოგოლაძე, სამაზრო კომიტეტის სახელით ამხანაგი მოსე ცინცაძე, ხაშურის კომუნისტური ორგანიზაციის სახელით ამხანაგი ნიკო ენუქიძე. ყველა ორატორები აღნიშნავდნენ თავგანწირულ ბრძოლას ამხანაგებისას, მათი მსხვერპლის მნიშვნელობას, მათ თავდადებულობას მუშათა კლასის ბედნიერებისათვის. ხალხში —აქა-იქ ისმის ხმები: მართალია ჯალათებმა მოგვტაცეს ამხანაგები, მაგრამ ეს მოგვცემს ჩვენ პირიქით ძალას, რომ გაკაჟებულებმა შევებრძოლოთ ხალხის მტრებს. „ზიზღი მენშევიკებს“—გაისმის ხალხში ხმა. აქედან პროცესსია დაიძრა ძმათა სასაფლაოსკენ, ხალხი მწყობრათ მიჰყვება. უკანასკნელ სიტყვას ამბობს ამხ. ვანიჩკა ელიაშვილი. ასე ფართო მასსის მონაწილეობით დამთავრდა დახვრეტილ ამხანაგების დასაფლავება.

ხაშურელი მოხიკო.

მარტვილი. მარტვილის კომუნისტური პარტიის და მასთან ერთად მარტვილის მშრომელი ხალხისათვის 28 მარტი ჩაითვლება საზეიმო დღეთ. ამ დღეს მარტვილს ესტუმრა ხალხის განთავისუფლებისათვის მედგარი მებრძოლი ამხ. საშა გეგეჭკორი, რომელსაც დიდის აღფრთოვანებით მოელოდა მარტვილის მშრომელი მასა. შეუდრეკელი მებრძოლის ჩამოსვლის ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელს რაიონს და გაიხსნა მრავალრიცხოვანი მიტინგი, სადაც მარტვილის რაიონის პარტიული კომიტეტის სახელით მიესალმა მას ამხ. ი. მონიავა და რევკომის სახელით ამხ. გ. გაბისონია. მშრომელი ხალხის აღფრთოვანებას არ ქონდა საზღვარი, როდესაც მან ტრიბუნაზე იხილა მებრძოლი საშა. აუარებელი საზოგადოება გულდასმით უსმენდა სამი საათის განმავლობაში მის სიტყვას. ორატორი ვრცლათ შეეხო საერთო პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას და ნათლათ გააშუქა მომხდარი ფაქტები, გასაგები ენით ახსნა ყოველივე და შემდეგ გადავიდა თანამედროვე მომენტის დახასიათებაზე, რის შემდეგ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვეს ორატორი.

გრანდიოზულ მიტინგზე ხალხის მიერ ერთხმად იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია: „მშრომელი ხალხი ერთ ხელში თოფით დაიცავს რევოლიუციის მონაპოვარს და მეორე ხელში თოხით შეიტანს თავის წვლილს სამშობლოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის“.

მიტინგის შემდეგ ამხ. საშამ გადასინჯა, როგორც პარტკომის, აგრეთვე რევკომის ნამუშევარი, რომელიც, ცოტა გამონაკლისის გარდა, მოიწონა.

მარტვ. რაიონის პარტ. კომიტეტი.

ფოსტა

საქართველოს კომ. პარტიის თბილისის კომიტეტს, მის სარაიონო ბიუროებს რეგულიარულათ მოგვაწოდეთ ცნობები პარტიული მუშაობის შესახებ.

საქართვ. კომპარტიის ორგანიზაციებს პროვინციაში. მოგვაწოდეთ—შეძლებისდაგვარათ რეგულიარულათ ცნობები პარტიულ მუშაობის შესახებ და კორესპონდენციები პროვინციის ცხოვრებიდან.

პროფესიონალურ კავშირებს. მოგვაწოდეთ რეგულიარულათ ცნობები პროფესიონალურ ცხოვრების შესახებ.

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი“. ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

პარტიული.

ხუთშაბათს, 21 აპრილს, სა. 5 ს. დანიშნულია საერთო კრება სურსათზე **მომუშავეთა** კავშირის კომუნისტ და კანდიდატ წევრებისა. დასწრება ყველა წევრებისათვის სავალდებულოა.

ფრაქციის დრ. ბიურო.

სხვა და სხვა.

— დავკარგე პორტმანი ფულით და დოკუმენტებით; პარტიული მანდატი, ღამე სასიარულო მოწმობა № 2 და სხვა საბუთები. ითვლებიან გაუქმებულათ. გ. **ნუცუბიძე.**

— ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ თუ ვისმე რამე ცნობა აქვს, სად იმყოფება 11 თებერვალს გაწვეული ახალციხის მკათე ათასეულის ჯარისკაცი ვასილ ჩოდრიშვილი, მიაწოდოს ამბავი შემდეგი მისამართით: თბილისი, გოგოლის ქუჩა, № 32, ალექსანდრე ჩოდრიშვილს.

— თბილისის გორევკომის „ზაგს“-ის ქვეგანყოფილება ამით აცხადებს, რომ ხამიტ ზამაძემ შემოიტანა განცხადება მისი გვარის „შტეინბერ“-ად შეცვლის შესახებ.

საბჭოს მომუშავეთა კავშირის გამგეობისგან

საბჭოს მომუშავეთა პროფკავშირის ახლათ შექმნილი გამგეობა ამით აცნობებს ყველა საბჭოთა, საზოგადოებრივ, კოოპერატიულ და სავაჭრო დაწესებულებებს და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებს, რომ ახალი კავშირი შეუდგება მუშაობას ა. წ. აპრილის 18 ს.

საბჭოს მომუშავეთა კავშირის გამგეობის არჩევის შემდეგ 10 აპრილს გაერთიანებულ სადელეგატო ყრილობაზე, ყოფილი პროფკავშირები: 1) სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურების, 2) საკრედიტო დაწესებულებათა მოსამსახურების 3) სახელმწიფო მაღალ მოსამსახურეთა, 4) სახელმწიფოს დაბალ მოსამსახურეთა, გაუქმებულადაა გამოცხადებული. აღნიშნულ კავშირების ყველა წევრებმა და აგრეთვე სხვა ზემოაღნიშნულ დაწესებულებათა მუშა მოსამსახურეებმა შემდეგში უნდა მიმართონ ახალათ მოწყობილ საბჭოს მომუშავეთა კავშირში, ყოველ დღე დილის 9—2 ს. და საღამოს 5—7 ს. (მუშათა სასახლე, მეოთხე სართული, ოთახი 51—55).

გამგეობა.

კორექტორი

გამოცდილი საჭიროა გაზ. „კომუნისტი“-სათვის. მოლაპარაკება შეიძლება რედაქციაში, მდივანთან, 9—2 საადამდე

კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი

ყველა ამხანაგებს, რომელთაც შეუძლიათ მიტინგზე და კრებებზე გამოსვლა, ლექციების კითხვა და მოხსენებების გაკეთება პარტიული დისციპლინის ძალით, წინადადებას აძლევს ჩაეწერონ სამი დღის განმავლობაში თ. კ. სააგიტაციო განყოფილებაში, რათა მომზადებული ამხანაგების ძალები წესიერათ იყოს განაწილებული და პარტიისთვის გამოყენებული.

თ. კ. მდივანი ლაზარე კანდელაკი.

სააგიტ. გან. გამგე ოვანესიან.

დაჭრილ-დ. სახიჩრებულთა კავშირის გამგეობა

ამა წლის 23 აპრილს ნაშუადღევის 3 საათისათვის კავშირის ბინაზე (პლეხანოვის პროსპ. № 139) იწვევს კავშირის წევრთა საერთო კრებას. განსახილველია შემდეგი საკითხები:

1) ძვე ი გამგეობის მოხსენება.
2) დროებითი გამგეობის მოხსენება.
3) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
4) კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
5) წესდების ზოგიერთი მუხლის შეცვლა.
6) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.
7) საკითხი დაჭრილ-დასახიჩრებულთა მზრუნველობის შესახებ.
8) მიმდინარე საკითხები.

პროვინციიდან ჩამოსულთ მიეცემა ბინა, სადილი და უკან დასაბრუნებელი გზის ფული. დასწრება კავშირის ყველა წევრისთვის სავალდებულოა.

კავშირის გამგეობა.

ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში“ დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ცენტრალური კომიტეტის სტამბა. [illegible] 1. № 4